პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1933 წ. მარტი
პარიზი

№ 31

1933 — MARS
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

საეჭვო მეგობრობა

გასულ თებერვალს მოხდა საბოლოო დამტკიცება (რატიფიკაცია) საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულობის ერთი მეორეზე თავსდაუსხმელობის შესახებ, წოდებული პაქტათ. დრო არის შევჩერდეთ ამ საგანზე და მივაქციოთ მისკენ ჩვენი მკითხველის ყურადღება.

რატომ და ვისთვის იყო საჭირო ეს თავსდაუსხმელობის პაქტი? მის ხელის მომწერთ საერთო საზღვარი არ აქვთ, ვერავითარი გზით ერთიმეორეს ვერ დაესხმიან. საფრანგეთს ყავს მოსაზღვრენი, რომელთაც მართლა შეუძლიათ მას დაეცენ, მაგრამ მას საჭიროთ არ დაუნახავს მსგავსი ხელშეკრულობათა მათთან დადება. მისთვის და სხვებისათვისაც სრულიად სამართლიანათ ითვლება ბრიან-კელოგის პაქტი საკმარისათ და მის ნიადაგზე გაჩერებით მშვიდობიანობის უზრუნველყოფა მაგრამ რუსეთთან, რომელთან ტერიტორიალურის თუ სხვა რაიმე ღრმა საკითხების გარეშემო არავითარი დავა საფრანგეთს არ აქვს, უეჭველათ განსაკუთრებითი პირობა შეიქნა საჭირო და მისი კელოგის პაქტისათვის მიმატება. ეს ერთი-მეორის ორმაგი გამოჭირვა არ აიხსნება არც საბჭოთა მოსაზღვრე სახელმწიფოებით, ვინაიდან ყველაზე უფრო საშიშარ მდგომარეობაში მყოფ რუმინიას ის დღემდის არ მიუღია. ამათი პოზიცია გამორკვეულია, მოსკოვს იქით არ ედავებიან, ოღონდ აქეთ არ შემოგვედაოსო. სწორეთ ამ შემოდავებამ აიძულა რუმინია პაქტზე უარი ეთქვა.

პაქტი საჭირო იყო და არის მხოლოდ მოსკოვისათვის, რომ ამ გზით ამოვიდეს იმ საშინელი უფსკრულისაგან, რომელშიაც შინ ის ჩავარდა. მან საკმაოთ მოიბალახა გერმანია, გამოიტანა ყოველივე ის რის გამოტანა კი შეეძლო და სამაგიეროთ ჩაუტოვა ცარიელი უფულო ვექსილები, რომლის განაღდება საკუთარი ძალით არ ძალუძს. რაპალომ გადაარჩინა ის დანგრევისაგან და მოიყვანა დღევანდლამდე. ახლა საჭირო გახდა ახალი რაპალო, საფრანგეთისაკენ გადმობალახება და ფრანგების ჯიბით გერმანელების გასტუმრება. მართალია საფრანგეთმა მილიარდები ჩატოვა რუსეთში და საეჭვოა ახალი მილიარდების კიდევ ამ უძირო ქვევრში ჩაყრა, მაგრამ მაინც გაჩნდენ მაკლერები, მოსაშუალენი, დაინტერესებული პირები, მოსკოვის აგენტები და კულისებში გაჩაღდა მუშაობა. და უცებ, მოულოდნელათ, ამ ერთი წლის წინ საიდუმლოება გახდა აშკარათ, ამოძვრა მზამზარეული პაქტი. შემდეგ შეიქნა ყოყმანი, საქმის გათრევა, მის მიზანშეწონილობაშია დაეჭვება. დრო მიდიოდა, პაქტი ადგილიდან არ იძვროდა. მაგრამ არც მოსკოვს ეძინა. მოსკოვის კოჭი უცებ შემოტრიალდა და ალჩუზე დაჯდა. ნოემბრის გასულს რადიკალების მეთაურმა ერიომ პაქტს ხელი მოაწერა და სარატიფიკაციოთ გამზადა. ეს სავლე პავლეთ გადაქცეული ახლა საჯაროთ გამოვიდა და თავის აქტის დასაბუთება პრესაში და კრებებზე დაიწყო.

აი ეს საბუთები პაქტს აძლევს ახალ სახეს; მას ეკარგვის კომერციული მოსაზრებები და ხდება პოლიტიკურ ფაქტორათ. თუ ამდენ ხანს ლოიდ ჯორჯის მიერ მოწონებული ვაჭრობა კაცის მჭამელებთან ბოლშევიკებზე იქნა გადატანილი, ახლა ეს მეტათ პროზაიკული საბუთი მიიჩქმალა და რომანტიზმი ამუშავდა. პირველი მოსაზრება ყოველ შემთხვევაში შედარებით უბრალოა, ვინაიდან ის ეხება მხოლოდ კერძო პირთა წაგებას თუ მოგებას. ხოლო მეორე ეხება მთელ ერს, მთელ საზოგადოებას, რომლის პოლიტიკურ ილიუზიებში გაბმა საბედისწეროა. მოვისმინოთ ეს ახალი საბუთები *).

საბუთი პირველი: «არასოდეს არ უნდა მივაქციოთ ყურადღება პოლიტიკურ რეჟიმს იმ ქვეყნისას, რომელთანაც ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა». აზრი ჩინებულია, ერთხანს ჭეშმარიტებათ მიჩნეული. მაგრამ ვინაიდან ჭეშმარიტება კონკრეტიულია, არსებულ სინამდვილეში ის მისაღებია? როგორ შეუძლიათ ორ მოპირდაპირე რეჟიმს მართლა მეგობრული დამოკიდებულება ქონდეთ, ერთი მეორეს გაჭირებაში შერჩნენ? დიდმა ომმა დაგვანახვა, რომ ქვეყანა გაიყო ორათ რეჟიმის მიხედვით, ყველა ქვეყნის დემოკრატია დადგა ერთათ საფრანგეთის მეთაურობით, მონარქიები და ფაშები მეორე მხრით. ერთათ ერთი გამონაკლისი, რუსეთი, სწორეთ ამ გარემოებამ დაანგრია, ე. ი. ის ვერ შერჩა დემოკრატიის კოალიციას, რადგან მისი რეჟიმი არ იყო დემოკრატიული. მაშასადამე, ნამდვილი მეგობრული ურთიერთობა შეიძლება მხოლოდ თანაბარი რეჟიმთა შორის.

რას ვხედავთ ირგვლივ? ეს თანამედროვე პოლიტიკის ანბანი ფართე მასშტაბითაა ამუშავებული. ცენტრალური ევროპა სწრაფი ნაბიჯებით ეწყობა სწორეთ მის ნიადაგზე. იტალია, გერმანია, ვენგრია ერთი მეორეს ეკავშირება სწორეთ რეჟიმით. დგება, მაშასადამე, მკვიდრი დამაფიქრებელი კოალიცია. ხოლო ამ დროს ძველი უშინაარსო მცნების წამოყენება—რეჟიმი ჩვენ არ გვეხებაო ილიუზიის დაუშვებელი თესვაა. ეს ამრუდებს არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკასაც. სწორეთ დემოკრატიაა მოვალე მხარი დაუჭიროს ყოველგან დემოკრატიულ რეჟიმს და გაამაგროს ის. ეს მისი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესია. რაკი ამ მოვალეობისაგან ხელს იბანთ, სხვისი რეჟიმი მე არ მეხებაო, ამით ხელს უწყობთ ანტიდემოკრატიული მიმდინარეობის გამარჯვებას და მტერთა ბანაკის გაძლიერებას. ამ ძველი დრომოჭმული პოლიტიკის ნაყოფია ფაშიზმის ასე გაფართოვება და ევროპის მშვიდობიანობის საფრთხეში ჩავარდნა. ჩემი მეზობლის უბედურობა ჩემი უბედურობაცაა. სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირი—საფათარაკო აზროვნებაა პოლიტიკაში. ის უნგრევს ყოველნაირ საფუძველს პაციფიზმს; წასული დიდი ომი იყო ომი რეჟიმთა შორის; მომავალი ომი სწორეთ ამავე ხაზით მზადდება.

ეს აზრი ერიოს დაავიწყდა სამოსკოვო წერილში, თვარა თავის პარტიულ კრებაზე არ დავიწყებია. მან სთქვა პირველი მარტის სხდომაზე: «ჩვენ განვაგრძობთ რწმენას, რომ მხოლოდ ღრმა შეთანხმება სამი დიდი დემოკრატიისა—ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის წარმოადგენს საუკეთესო გარანტიას თავისუფლების და ზავისა». მაგრამ რა დარჩება ზავის და თავისუფლებისაგან, თუ ქვეყნათ მარტო ეს სამი დემოკრატია დარჩა, სხვაგან ყოველგან მისი მოპირდაპირე რეჟიმი! და ეს მით უფრო, რომ ამერიკა შორსაა, ინგლისი კუნძულზეა, ხოლო საფრანგეთი ტერიტორიალურათ გადაბმულია ანტიდემოკრატიულ ქვეყნებთან. ამ იზოლიაციის დაფარვა მოსკოური იმედებით ნუთუ თავის მოტყუება არ არის!

საბუთი მეორე: «თუ ჩვენ თავს დაგვესხა მესამე სახელმწიფო, რუსეთი დარჩება ხმალ ჩაგებული». ეს მეტათ გაბედული მტკიცებაა. ამის საბუთია მხოლოდ ერთი: პაქტზე ხელის მოწერა, ე. ი. ნაწეკვი ქაღალდი. ომის და ზავის საკითხს სწყვეტს არა ქაღალდი, არამედ რეალური მდგომარეობა. ძალთა განწყობილება ერში და ერთა შორის. თუ კი ერში დემოკრატიული რეჟიმი ქრება და მილიტარისტული მყარდება, ქაღალდი აქ გარანტია აღარ არის. ყველა რეჟიმთა შორის ბოლშევიზმი ყველაზე უფრო გაჟღენთილია სამხედრო სულით, აფრიალებული აქვს ომის დროშა. საბჭოთა რეჟიმის გავრცელება ხიშტით ეს მისი თანდაყოლილი დოქტრინაა. მან ეს განახორციელა საქართველოში, კავკასიის სხვა რესპუბლიკებში, უკრაინაში და სხ.

ამით გაფართოვდა მისი ტერიტორია, მაგრამ ის დასუსტდა პოლიტიკურათ. ამოდენა უცხო ერების ძალით თავის საბრძანებელში შეთრევამ დაბადა მთელი წყება დამარღვეველი ძალების, რომელნიც ებრძვიან მოძალადეს და უცდიან შემთხვევას მის დასანგრევათ და თავისუფლების მოსაპოვებლათ. ამ ნაციონალურ წინააღმდეგობას ემატება პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობანი ყველა ხალხისა. 160 მილიონი მცხოვრებისა და ქმნის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დამბლას. ახლა საყოველთაოთ ცნობილია, რომ მოსკოვს ომი არ შეუძლია, ვინაიდან პირველსავე შეტაკებაში ის შიგნიდან დაინგრევა. მართალია, მოსკოვი სამხედრო თვალსაზრისით გერმანელი სპეციალისტების წყალობით საკმაოთ მომზადებულია, მაგრამ ომის წარმოება მაინც არ შეუძლია. რატომ? იმიტომ რომ ომს იგებს თუ აგებს ხალხი, ცოცხალი ძალა, ხოლო ეს ძალა რუსეთში მიმართულია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. მაშასადამე, თუ მოსკოვის ხმალი ქარქაშში დარჩება—ამას აიძულებს მას არა პაქტი, არამედ რეალური მდგომარეობა, უკმაყოფილო რუსის და არარუსის ხალხები.

ახლა მითხარით: ვინ იცავს ზავს, საბჭოთა ნეიტრალობას მოსალოდნელ ომში, ის ვინც მოსკოვის ტირანიას ამაგრებს ფულით, რჩევით და თანაგრძნობით და სწყვეტს კავშირს ამ ტირანიის მსხვერპლთან, დაჩაგრულ ხალხებთან, თუ ის ვინც ამათ ესარჩლება, ამხნევებს და ბრძოლისაკენ უთითებს? ერიო მოუწოდებს საფრანგეთს პირველი გზისაკენ და ამით ისპობს იმ თანაგრძნობას 160 მილიონი ხალხისას, რომელიც გმინავს საბჭოთა ტირანიის უღელს ქვეშ. სწორეთ «დიდი რევოლიუციის შვილისშვილი» არ უნდა ივიწყებდეს ამ რევოლიუციის დიდებულ მცნებას—ბრძოლას ტირანიასან. საფრანგეთმა ამ მცნების დაცვით და განსახიერებით დაიმსახურა ყველა ჩაგრულთა სიყვარული და აღფრთოვანება. ამ ნაყოფიერი ხის ასე უცებ ერთი ცულით მოჭრა არ შეეფერება საფრანგეთის არც დემოკრატიულ, არც ნაციონალურ ინტერესებს.

დანარჩენი საბუთები ხომ რომანია. აბა ვინ დაიჯერებს იმას, რომ საბჭოთა მთავრობა ხელს აიღებს საფრანგეთის, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს, შინაგან საქმეებში ჩარევაზე, გააძევებს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას კომინტერნიდან. აუკრძალავს «მოპრს», ამსტერდამის ორგანიზაციას, საბჭოთა მეგობართა კავშირს და სხვა მრავალ ბოლშევიკურ რაზმებს გასწიონ აგიტაცია საფრანგეთის ტერიტორიაზე, არ მისცემს ყველა მათ სუბსიდიებს—ერთი სიტყვით მოსკოვი უარს იტყვის თავის პროგრამაზე, თავის მოწოდებაზე, თავის თავზე. რასაკვირველია, ვისაც ტკბილი ტყუილი ურჩევნია მწარე სინამდვილეს ის პოლიტიკური ფანტაზიის ტყვეა.

მოსკოვის მეგობრობა საეჭვო მეგობრობაა, მასზე დამყარებული პოლიტიკა ქვიშაზე აგებული კოშკია.

დასასრულ ორიოდე სიტყვა პაქტის ინტერპრეტაციაზე. ნათქვამია როცა ძაღლის მოკვლა სურთ, ცოფიანათ გამოაცხადებენო. მოსკოვის დიდი ხნის ცდა საქართველოს ნაც. მთავრობა და მისი ლეგაცია პარიზში გაუქმებულ იქნას ყოველთვის უშედეგოთ დარჩა. მაგრამ ახლა მისმა დამცველებმა ჩასჭიდეს ხელი პაქტს და ფიქრობენ მისი საშუალებით მოსკოვის ზრახვების მიღწევას. ამ მიზნით მათ საქმის მომხსენებლათ პალატაში გაიყვანეს ცნობილი ტორესი, მოსკოვის დიდი ხნის ვექილი, საქართველოს დამოუკიდებლობის საჯარო მტერი, დამცველი რენეგატის ვეშაპელის და ნოე რამიშვილის მკვლელის. მართალია საფრანგეთის ნაფიცთა მსაჯულებმა, ამ საფრანგეთის ერის უმაღლესმა სვინიდისმა, მხარი დაუჭირა ყველა ამ პროცესებში საქართველოს და ტორესი მუდამ აგებდა. მაგრამ მიუხედავათ ამისა შესაძლებლათ დაინახეს იმავე პირის ოფიციალურ როლში გამოყვანა, რომ ამით ის რაც სასამართლოებში წააგეს პალატის ტრიბუნიდან ამოიგონ.

ტორესი მუდამ ითხოვდა და დღესაც ითხოვს ჩვენი ლეგაციის გაუქმებას, ახლა პაქტის ძალით. პაქტი კი ამის არავითარ საბუთს არ იძლევა. აქ ნათქვამია: «პატივს ვსცემთ იმ ინტერნაციონალურ დაპირებებს, რაიცა წინეთ დავდევით». ხოლო ერთი ამ დაპირებათაგანია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და მისი ლეგაციის დაშვება. ცხადია, რაკი საერთო დებულებაში გამონაკლისი მოხსენებული არ არის, საქართველოსთვის მიცემული დაპირება ძალაში რჩება. ამიტომ მას ვეღარ შეეხება ვერც პაქტის მე-5 მუხლი, მით უფრო რომ აქ ლაპარაკია ისეთ ორგანიზაციებზე, რომელნიც «იჩემებენ მთავრობის ან წარმომადგენელის როლს», ხოლო საქართველოს მთავრობა და ლეგაცია საფრანგეთის მიერ ცნობილია როგორც კანონიერი სრულუფლებიანი წარმომადგენელნი თავისი ქვეყნისა, მაშასადამე «დაჩემებულთა», ე. ი. უზურპატორთა კატეგორიაში ვერას შემთხვევაში ვერ შევა.

როგორც ხედავთ, პაქტის ტექსტი სრულიად არ არის მიმართული ჩვენს წინააღმდეგ, პირიქით, მისი რეზერვი და უზურპაციის განსაზღვრა, აშკარათ რიცხავს ჩვენს ლეგაციას გასაუქმებელ ორგანიზაციათაგან. სხვანაირათ არც კი შეიძლებოდა, თუ სახეში მივიღებთ პაქტის ავტორს არისტიდ ბრიანს, ჩვენი ქვეყნის დიდ მოამაგეს, მის მცნობელ და დამცველს.

ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს დიდი კეთილშობილური საფრანგეთის ღვაწლს მის წინაშე. ჩვენ, ამ ერის წარმომადგენელებმა და ერთგულმა შვილებმა, აშკარათ განვიცადეთ სინამდვილე ცნობილი თქმულების: ყოველ კაცს ორი სამშობლო აქვს, ერთი თავისი და მეორე საფრანგეთიო. ჩვენ აქ ვპოვეთ ყველა წრის და პარტიის თანაგრძნობა, მთელი ერის სტუმართმოყვარეობა და პატივისცემა. ნამდვილი ძმური, მეგობრული დამოკიდებულება ჩვენი უბედური სამშობლოსადმი.

ნ. ჟ.

*) იხ. საკვირაო ჟურნალი «La Marianne» 15 თებერვლის.

კარლ მარქსი

ამა თვის მარტში სრულდება 50 წლისთავი მას შემდეგ რაც კარლ მარქსი გარდაიცვალა და რომლის მოგონებას მთელი ინტერნაციონალური პროლეტარიატი დღესასწაულობს.

მარქსი დაიბადა 1818 წ., გარდაიცვალა 1883 წ., მაგრამ არასოდეს ის არ ყოფილა ისე ცოცხალი, ისეთი უსაზღვრო გავლენის და ძლიერების, როგორათაც ის ახლა არის. ის დღეს არყევს მთელ ძველ და ახალ ქვეყანას, მას იცავს და ებრძვის უამრავი ჯარები, მთელი კლასები და მათი პარტიები; ის დგას კაცობრიობის შუაგულში და მტერთ და მოყვარეთ ერთნაირათ ატოკებს. სამოქალაქო ისტორიამ არ იცის ისეთი პიროვნება, რომელიც ასეთი ძლიერებით დაპატრონებოდეს ქვეყნიერებას, როგორიც წილათ ხვდა მარქს და მის მოძღვრებას.

მარქსი გამოვიდა შეძლებული ოჯახიდან, სწავლის დათავებისთანავე გადაეშვა პოლიტიკურ ბრძოლაში, იყო რედაქტორი და თანამშრომელი სხვა და სხვა გამოცემების, მიიღო მონაწილეობა 1848 წლის რევოლიუციაში, განიცადა მისი დამარცხება, მოექცა ემიგრაციაში და ისე მოკვდა რომ სამშობლოში აღარ ვადასახლებულა. მრავალრიცხოვანი რევოლიუციური და სოციალისტური ემიგრაცია პირველ წლეებში მუშაობდა და ცხოვრობდა თანხმობით, მაგრამ ჩქარა დაიწყო მისი რღვევა, დანაწილება, ჯგუფ-ჯგუფათ დაყოფა, ერთი მეორის წინააღმდეგ დაპირდაპირება და რამოდენიმე წლის ურთიერთ ბრძოლის შემდეგ მისი გაქრობა. პირველი დიდი ინტრიგა მიიმართა კარლ მარქსის წინააღმდეგ, ცნობილი მეცნიერის და მოღვაწის კარლ ფოხტის მეთაურობით. მარქსი იძულებული გახდა თავი დაეცვა და გამოაქვეყნა მთელი წიგნი სათაურით «ბატონი ფოხტი», სადაც გარჩეულია მორალური და პოლიტიკური მდგომარეობა ემიგრაციის. «ფოხტის საპასუხოთ მე იძულებული ვიყავი გამომემჟღავნებია ემიგრაციის ისტორიის «სამარცხვინო ნაწილები», სწერს მარქსი ამ თხზულების პირველსავე თავში. და მართლაც ეს «ნაწილები» ბლომათაა თავმოყრილი, ემიგრაციის მორალური დარღვევა დამტკიცებული. მარქსი შორდება სავსებით ამ აშმორებულ ჭაობს, აწყობს თავის წრეს, რიცხვით მცირეს, მაგრამ მორალურათ და პრინციპიალურათ შეთანხმებულს, ეძლევა მეცნიერულ და პოლიტიკურ მუშაობას, აარსებს ასეთსავე წრეებს გერმანიაში—ერთი სიტყვით დარღვეული ემიგრაციის გამოშორებით იწყება თეორიული და პრაქტიკული მუშაობა მარქსის ხელმძღვანელობით. მან პოვა თავისი სწორი, გულითადი მეგობარი და თანამშრომელი, ფრ. ენგელსში, რომელთა იდეიური და მეგობრული ნათესაობა არასოდეს არ შენელებულა.

აი ამ პატარა წრიდან მოდის ორი შტო: პოლიტიკური და იდეოლოგიური მოძრაობა; ახალი ბრძოლის დაწყება სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელობით და მუშათა ინტერნაციონალის დაარსება, ეკონომიური, ისტორიული და სოციალური სისტემის შემუშავება და გავრცელება მარქსიზმის სახელწოდებით.

მარქსიზმი არის სინტეზი სამგვარი მოვლენის: საფრანგეთის დიდი რევოლიუციის, ინგლისის სამრეწველო განვითარების და გერმანიის ფილოსოფიის. პოლიტიკის, ეკონომიკის და დიალექტიური მეთოდის შედუღებამ მოგვცა ეს ახალი მოძღვრება. ის არის უმთავრესათ საზოგადოების მოძრაობის მოძღვრება. მარქსისათვის ცხოვრება არის პროცესი, გადასვლა ერთი საფეხურიდან მეორეზე, ხოლო ეს მისი ასეთი გადასხვაფერება წარმოებს მოვლენათა ერთი მეორესან ბრძოლით, მათი ურთ-ერთის წინააღმდეგობით. ამ ბრძოლაში მარცხდება ერთი მოვლენა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან უკვე დრო მოჭამა, ე. ი. ერთხელ საზოგადოებისათვის სასარგებლო გადაიქცა საზოგადოებისათვის საზარალო მოვლენათ. მაშასადმე, დაბერდა, აღმშენებითი ძალა დაეკარგა და ცხოვრების მსვლელობას წინ გადაეღობა. სოციალური რევოლიუციის ზარი ირეკება. ამ დედა-აზრზე არის აგებული მარქსის მთავარი შრომა «კაპიტალი».

«კაპიტალის» შესახებ დაიწერა ბევრი, მისი მეთოდი და შინაარსი გაარჩია ბევრ მსწავლულმა მის სიცოცხლეშივე. თვითონ მარქსმა დაიწუნა ყველა ეს გარჩევა, გარდა ერთისა, რუსის ეკონომისტის კაუფმანისა და მოიწონა ის თავის შრომის მესამე გამოცემაში. მარქს თვითონ მოყავს კაუფმანის დახასიათება და თავისათ აღიარებს. აი მისი ზოგი ადგილები:

«მარქსისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი: იპოვოს კანონი იმ მოვლენათა, რომელთა გამოკვლევას ის აწარმოებს. აქ მისთვის საყურდღებოა არა მარტო კანონი, რომელიც განაგებს ამ მოვლენებს, ვიდრე მათ განსაზღვრული ფორმა აქვთ და იმყოფებიან იმ ურთიერთ დამოკიდებულებაში, რომელსაც ვამჩნევთ განსაზღვრულ დროს. მისთვის გარდა ამისა მნიშვნელოვანია კანონი მათი ცვალებადობის, მათი განვითარების, ე. ი. გადასვლისა ერთი ფორმიდან მეორეში, ერთი წყობილების ურთიერთ დამოკიდებულებიდან მეორეში... ის განიხილავს საზოგადოებრივ მოძრაობას, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს. ამ უკანასკნელს განაგებს კანონები, რომელნიც არა თუ დამოკიდებული არ არიან ადამიანის ნებასა, შეგნებასა და ზრახვაზე, არამედ, პირიქით, თვითონ განსაზღვრავენ მის ნებისყოფას, შეგნებასა და ზრახვებს... მარქსის აზრით, ყველა ისტორიულ ხანას თავისი საკუთარი კანონები აქვს. რაკი ცხოვრებამ განსაზღვრული განვითარების პერიოდი განვლო და ერთი განსაზღვრული სტადიიდან მეორეში გადავიდა, მას უკვე სხვა კანონები განაგებენ...» *).

რა ამოძრავებს ისტორიას? რა მოვლენა აიძულებს ცხოვრებას სცვალოს თავისი ეტაპები, ვიდოდეს ერთი საფეხურიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ასე ბოლომდე? აი აქ მარქსი შეებრძოლა გამეფებულ ეკლეკტიზმს, მრავალ ფაქტორების თეორიას და მას დაუპირდაპირა თეორია ერთი ფაქტორისა, რომლის გადასხვაფერება ასხვაფერებს ყველა დანარჩენ ფაქტორებს. ეს არის საზოგადოების ეკონომიური მდგომარეობა, მუშაობის ის წესები, რომლითაც და როგორათაც ადამიანი თავს ირჩენს. ამ ეკონომიურ საფუძველზე შენდება პოლიტიკური, იურიდიული, იდეიური ურთიერთობა, რომელნიც თავის მხრივ ახდენენ გავლენას საფუძველზე. მაგრამ ეს გავლენა საზღვარ დადებულია, ის ვერ შესცვლის საფუძველს; ახალი პოლიტიკა და იდეია ახალ ეკონომიკას ვერ დაამყარებს, პირიქით ეს უკანასკნელი ამყარებს ყოველთვის მის შესაფერ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

აი ამ ძირითადი პრინციპების დასაბუთებით, სოციალიზმი გამოვიდა უტოპიური სტადიიდან და გახდა ნაწილი მეცნიერების. ის რაც მოიმოქმედა დარვინმა ბიოლოგიაში, მოიმოქმედა მარქსმა სოციოლოგიაში, თუმცა ქრონოლოგიურათ მარქსმა დარვინს დაასწრო.

როგორც ყოველთვის დიდი მოძღვრების ბედია, მარქსიზმსაც გაუჩნდა კარიკატურა, მისი ზერელეთ გაგება, მისი დიდი სახელის დაჩემება და მის დროშის ქვეშ საკუთარი უტოპიის გამოფენა. ერთხანს ასეთი კარიკატურა იყო ბაკუნიზმი, რასაც თვით მარქსი შეებრძოლა და დაარღვია. ახლა იგივე კარიკატურაა ლენინიზმი. საკმარისია ზემოთ მოყვანილი მოკლე დახასიათება შევადაროთ ბოლშევიზმის მთელ

*) იხ. «კაპიტალი»ს ქართული გამოცემა. ეს თარგმანი ერთობ მძიმე ენითაა; საჭიროა მისი გასწორება სტილის გამარტივებით.

სიტყვას და საქმეს, რომ აშკარა იყოს მათი სრული წინააღმდეგობა.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა: მომეცით «მამაო ჩვენო» და მას ისეთი ფორმით გადმოგცემთ, რომ მისი ავტორი ჩამოხრჩობის ღირსი იყოსო. ეს ერთი ხანია ბოლშევიკები ისეთი ფორმით ავრცელებენ «მარქსიზმს», რომ მართლაც ეს მოძღვრება დასაგმობია, რომ მას რაიმე მსგავსება ქონდეს ნამდვილ მარქსიზმთან. ხალხის ყველა მტერი ჩაებღაუჭა ბოლშევიზმს, დაიჯერა მისი მარქსისტობა და ამ საბუთით სახელს უტეხენ და ებრძვიან თანამედროვე უდიდეს სოციალურ მოძრაობას. ბოლშევიზმი გახდა საუკეთესო იარაღი პროლეტარიატის იდეიურ და პოლიტიკურ ასარევათ და ანტისოციალისტური სახალხო მოძრაობის დასაწყებათ. ბოლშევიზმმა დაბადა ფაშიზმი. ლენინიზმი ისე გავს მარქსის მოძღვრებას, რამდენათ მაგალითად ინკვიზიცია ქრისტეს მოძღვრებას. «იგი სხვაა, აგი სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი, ნურვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმით ჩემი ნაუბარი!»...

ნ.

ე რ თ ი ფ რ ო ნ ტ ი

ამ ორი-სამი თვის წინეთ გერმანიის რასისტ-ფაშისტები განცალკევებული იყვნენ. მარცხნივ მათ წინააღმდეგ დაირაზმენ და ბრძოლას აწარმოებდენ სოც.-დემოკრატები, კომუნისტები და დემოკრატიული პარტიები, მარჯვნით კი მათ წინ ელობებოდენ და ძალაუფლებას არ უთმობდენ და არც უზიარებდენ მსხვილი კაპიტალისტები, აგრარიები, «ბარონები» და გენერლები. ჰიტლერს არ წყალობდა არც გერმანიის პრეზიდენტი—მოხუცი ჰინდენბურგი, რომელიც ძველი რეჟიმის რესტავრაციის მომხრეებს სავსებით მხარს უჭერდა. ფონ პაპენმა, როგორც პრუსიის უმაღლესმა კომისარმა, გადააყენა სოც.-დემოკრატ ბრაუნის და სევერინგის მთავრობა პრუსიაში და სოციალისტების გასანადგურებლათ აუშვა რასისტების ბნელი ძალები. ფონ პაპენი ფიქრობდა რასისტების შემწეობით და საშუალებით ჯერ სოც.-დემოკრატები და კომუნისტები დაექსაქსა და დაეუძლურებია, შემდეგ კი ჰიტლერი უფრო ადვილათ წაექცია. მაგრამ გერმანიის სოც.-დემოკრატია იუნკერ-კაპიტალისტების პროვოკაციას არ აყვა, თავ დასაცავათ შესაფერი ზომები მიიღო და ორგანიზაციულათ დაირაზმა. დაუძლურების და შესუსტების მაგივრათ მისი რიგები თვალსაჩინოთ გაიზარდა. რასისტების და ფონ პაპენის მომხრეების პრესტიჟი და გავლენა კი თანდათან ძირს ეშვებოდა, რაც ნათელჰყო გასული წლის ბოლოს მუნიციპალურ და რეიხსტაგში დამატებითი არჩევნებმა. ამნაირათ შავი რეაქციის ორივე ფრთას საშიშროება მოელოდა. ამან გამოიწვია რეაქციის ძალთა დაჯგუფება. ფონ პაპენი დაუკავშირდა ჰიტლერს. შესდგა ბლოკი რეაქციის ორ ფრთას შორის. ეს ბლოკი დაადასტურა ჰინდენბურგმაც და კანცლერათ ფაშისტების ლიდერი და ხელმძღვანელი—ჰიტლერი მოიწვია.

გერმანიაში რასისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ ძალზე წაათამამა იტალიის და უნგრეთის ფაშისტები. ყველა ესენი ეხლა სერიოზულათ ფიქრობენ მათ მიერ არა ერთხელ განზრახულ გეგმის განხორციელებაზე: შეადგინონ ბლოკი ფაშისტურ ქვეყნებისა და დაუპირდაპირდენ საფრანგეთს და მის მოკავშირეთ.

ცენტრალურ ევროპაში დიდი ავანტიურა მზადდება და საერთაშორისო დემოკრატიას და ზავს ფრიად დიდი საშიშროება მოელის. განსაკუთრებით მეტათ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება დღეს გერმანიის მუშათა კლასი, რომელსაც შავი რეაქცია 50 წლის მისი ნამუშევარის და მონაპოვარის განადგურებით ემუქრება.

ამ მძიმე მდგომარეობის და რეაქციის სრული გამარჯვების საშიშროების ხანაში გერმანიის სოც.-დემოკრატია და სოციალისტური ინტერნაციონალი მიმართავენ კომუნისტებს, შესწყვიტონ თავდასხმები სოციალდემოკრატიაზე და მუშათა კლასის მთელი ძალღონე ერთათ მიმართონ ფაშიზმის წინააღმდეგ.

რეაქციის წინააღმდეგ ერთი ფრონტის საჭიროების შესახებ ხშირათ გაისმის დღეს ხმები როგორც სოც.-დემოკრატების, ისე კომუნისტების რიგებში. ერთი ფრონტის შესახებ კომუნისტები ხომ წინეთაც ბევრს ლაპარაკობდენ და ის მათ დიდი დემაგოგიის საგნათ ქონდათ გახდილი. მაგრამ ორივე მხარეს ეს ერთი ფრონტი სულ სხვადასხვანაირათ ესმით და სხვადასხვანაირ შინაარს სდებენ მასში.

როცა კომუნისტები ლაპარაკობენ მუშათა კლასის ერთ ფრონტზე და მთლიანობაზე ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი მუშათა მოძრაობა სავსებით დაუმორჩილონ კომუნისტურ ხელმძღვანელობას. ამიტომ კომუნისტების ერთი ფრონტი წინასწარ გულისხმობს სოციალდემოკრატების დანგრევას და მისი ორგანიზაციების დაშლა-განადგურებას. საკმარისია მოვიგონოთ კომინტერნის მეთორმეტე პლენუმის სპეციალური დადგენილება, რომელიც ამბობს: «აუცილებელია წარმოებულ იქნას სისტემატიური მუშაობა მასებზე სოც.-დემოკრატიული გავლენის სალიკვიდაციოთ»-ო. ერთი ფრონტის ცხოვრებაში გატარებას კომუნისტები უმთავრესათ კრებების საშუალებით ფიქრობენ. კრებები ისე უნდა იქნას მოწვეული, რომ იქ კომუნისტები უმრავლესობას შეადგენდეს, სოციალდემოკრატები კი უმცირესობას. ასეთნაირათ მოწყობილ კრებებზე ისინი ეცდებიან ლანძღვა-გინებით და ყოველგვარ ცილისწამებით სოციალდემოკრატ მუშების თვალში სახელი გაუტეხონ მათ ლიდერებს და ხელმძღვანელებს და ისინი ერთმანეთს დააშორონ და დაუპირდაპირონ. ერთი ფრონტი გამოგონილია კომუნისტების მიერ სოც.-დემოკრატიის ხელმძღვანელობის სახელის გასატეხათ და სოციალდემოკრატ მუშების მისგან ჩამოსაშორებლათ.

სოციალდემოკრატიისათვის კი ერთი ფრონტი არის მუშათა კლასის მოძრაობის მთლიანობა განსაზღვრულ მიზნისათვის ბრძოლაში.

კომუნისტებმა ამ უკანასკნელი 13-14 წლის განმავლობაში მთელი მათი ძალა და ენერგია უმთავრესათ სოციალისტებთან ბრძოლას მოანდომეს და მიზნათ მათი დაშლა-დაქსაქსვა დაისახეს. ევროპაში, თუ სხვაგან, არ დარჩენილა არც ერთი ქვეყანა, სადაც ისინი არ შეცდილიყვნენ მუშათა მოძრაობა ორ მტრულ და ერთი მეორის მოპირდაპირე ბანაკათ არ დაეყოთ და სოციალდემოკრატია თავის მტრათ გამოეცხადებიოთ.

მოსკოვის წაქეზებით და ხელმძღვანელობით კომუნისტებს ევროპაში მუშათა კლასის მოძრაობის დამრღვეველი და დამქსაქსველი პოლიტიკა რომ არ ეწარმოებიათ, ეჭვს გარეშეა, დღეს ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილს სოციალისტური მთავრობები ეყოლებოდა და სოციალისტური წესწყობილების განხორციელების საქმე იქ მკვიდრ ნიადაგზე იქნებოდა წარმოებული.

კომუნისტები არა თუ ებრძვიან სოციალისტებს, არამედ მემარჯვენეთა და სოციალისტთა შორის ბრძოლის დროს ისინი შეგნებულათ და წინასწარი განზომვით სოციალისტების წინააღმდეგ რეაქციონერებს და მემარჯვენეებს უჭერენ მხარს. ამის საილუსტრაციოთ ბევრი ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა საფრანგეთის და ბელგიის უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნებიდან. მაგრამ კომუნისტების დამღუპველი პოლიტიკის საუკეთესო მაგალითს დღეს იძლევა გერმანია, სადაც კომუნისტები რასისტ-ფაშისტებში ნაკლებ ბოროტებას ხედვენ, ვიდრე სოციალდემოკრატებში.

კომუნისტების ტაქტიკამ მოგვცა ფრიად მწვავე და საშიშარი შედეგი. ფაშისტების დიქტატურა გერმანიაში უკვე შეუდგა დემოკრატიის მონაპოვართა მოსპობას და მუშათა კლასის ორგანიზაციების მოშლა-განადგურებას. შინ მან დაიწყო სამოქალაქო ომი, გარეთ კი ის საერთაშორისო ზავს და მშვიდობიანობას ემუქრება.

ასეთ კრიტიკულ დროს, ბუნებრივია, გაისმის ხმები მუშათა ორ ინტერნაციონალთა შორის შუღლის და ბრძოლის შესაწყვეტათ და მთელი მათი ძალღონის საერთო მტრის წინააღმდეგ მისამართავათ.

გერმანიის სოციალდემოკრატიის ცენტრალური ორგანოს—«ფორვერცის» მთავარი რედაქტორი—შტამპფერი გასულ 19 თებერვალს გერმანიის კომუნისტებს წინადადებით მიმართავდა, რომ მათ გერმანიის სოციალდემოკრატებთან თავდაუსხმელობის პაქტი დაედოთ, რაც გაადვილებდა და დიდათ ხელს შეუწყობდა მათ საერთო ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგო.

დაახლოვებით ამავე დროს სოციალისტური ინტერნაციონალი მიმართავდა როგორც გერმანიის, ისე ყველა სხვა ქვეყნების პროლეტარიატს შეეწყვიტათ ერთმანეთ შორის ბრძოლა და თავდასხმები და საერთო ძალებით ებრძოლათ ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ მიზნით ის მესამე ინტერნაციონალთან მოლაპარაკების სურვილსაც კი აცხადებდა.

რა პასუხი გასცეს გერმანიის კომუნისტებმა ამ შტამპფერს? მათი პასუხი ჩვეულებრივათ შაბლონურია: «ნუ ხართ კაპიტალიზმის სამსახურში, აწარმოეთ კომუნისტური პოლიტიკა და ამ ნიადაგზე თავისთავათ შეიქნება ერთი ფრონტი»-ო.

კომინტერნმა წაიყრუა, სიტყვა ბანზე ააგდო და სოციალისტურ ინტერნაციონალს პირდაპირ არ უპასუხა. მაგრამ ამავე დროს კი სოციალისტურ პარტიების წინააღმდეგ სამოქმედოთ და სახელმძღვანელოთ თავის ნაციონალურ სექციებს ფრიად დემაგოგიური ხასიათის დირექტივებით მიმართა. სხვანაირათ მას არც კი შეეძლია მოიქცეს.

კომინტერნს, რომელსაც დირექტივებს აძლევს და ხელმძღვანელობს მოსკოვი, მთელი თავისი პოლიტიკა დამყარებული აქვს მუშათა კლასის ორ მტრულ ბანაკათ დაყოფაზე და მათი ერთმანეთისადმი დაპირდაპირებაზე. ბოლშევიკების მუდმივი ცდაა, ყოველივე ზომებით და საშუალებებით სოციალისტებს ჩამოაცილონ მათი მიმდევრები და ისინი თავისკენ გადაიბირონ. აქედან წარმოსდგება კომუნისტების ყოველგვარი დემაგოგია, ლანძღვა გინება, ცილისწამება, ცდა მოწინააღმდეგეთა ლაფში ამოსვრისა და სახელის გატეხისა. ისინი მუდამ ასეთ პოლიტიკას აწარმოებენ. ეს მათი სტიქიაა. უამისოთ მათ ცხოვრება არ შეუძლიათ. მოსკოვმა და მისგან დამოკიდებულმა კომინტერნმა ასეთი პოლიტიკის წარმოება რომ შესწყვიტონ, ან თუნდაც დროებით შეაჩერონ, მათ არც ერთი კომუნისტური სექცია არ შერჩება. კომუნისტური ორგანიზ[illegible] მათი დემაგოგიური პოლიტიკით, მუშათა კლასის ერთი ნაწილის მეორეზე წასისიანებით და მათ შორის შუღლის და სიძულვილის თესვით განისაზღვრება. მოსპეთ ეს პოლიტიკა და მით მოისპობა თვით კომუნისტურ ორგანიზაციების არსებობაც.

კომინტერნმა მოსკოვის დასტურით რომ სოციალისტურ ინტერნაციონალთან თავდაუსხმელობის პაქტი დასდოს, ასეთ პაქტს თვით მოსკოვმა საბჭოთა კავშირის ფარგლებშიდაც ხომ უნდა გაუწიოს ანგარიში? არის კი შესაძლებელი, რომ ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთში სოციალისტები არ დაიჭირონ, ისინი ციხეებში არ იყოლიონ, ციმბირის ცივ ქვეყნებში არ აგზავნონ და მათ ლეგალური არსებობის საშუალება მისცენ? არა, სანამ რუსეთში ბოლშევიკების დიქტატურაა, ეს არ არის შესაძლებელი. ამიტომ ილუზია არ უნდა ვიქონიოთ იმის შესახებ, რომ კომუნისტების ხელმძღვანელი ორგანოები გონს მოვლენ და სოციალისტებზე თავდასხმას თავს გაანებებენ.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სოციალისტურმა ინტერნაციონალმა და მისმა სექციებმა კომინტერნის გამთიშველი და დამქსაქსველი პოლიტიკა მუშათა მასების წინაშე არ ამხილონ და მათ მუშათა მოძრაობის მთლიანობისაკენ არ მოუწოდონ. წინააღმდეგ, სოციალისტური ინტერნაციონალი და ყველა სოციალისტური პარტიები სწორედ ამ ტაქტიკას უნდა დაადგენ და ამ მეტათ კრიტიკულ და რთულ მდგომარეობიდან თავის დასაწევათ მუშათა კლასს საერთო მოქმედებისაკენ მოუწოდონ. კომუნისტური ხელმძღვანელობა, ქიშპობაში და შუღლში ღრმათ ჩაფლული და ჩათრეული, ცხადია, ასეთ მოწოდებას ყურს არ ათხოვებს და ძველი გზით განაგრძობს სიარულს. მაგრამ არ არის შეუძლებელი, რომ თავდაცვის და თავგადარჩენის ინსტიქტმა აიძულოს კომუნისტური მასები, რომელნიც პირდაპირ და უშუალოთ გრძნობენ დღევანდელ მდგომარეობის მთელ სიმძიმეს, არ დაუჯერონ თავიანთ ხელმძღვანელ ორგანოებს, გვერდი აუხვიონ მოსკოვის ბრძანებებს, პირი იბრუნონ სოციალისტებისაკენ და მათთან ერთათ საერთო მტერს შეებრძოლონ.

აი ამ გზით უნდა იქნას მიმართული დღეს ევროპის სოციალისტების მთავარი მუშაობა.

ა. გვარჯალაძე.

ყბად ასაღები, წყალ წასაღები...

ასეთი ამბები მუდამ ბევრია ემიგრაციაში, მაგრამ ამას აქამდე არ ქონებია თავისი ლიტერატურული ორგანო და რჩებოდა ხმად მღაღადებელისა ყავახანასა შინა. ახლა მადლობა ღმერთს, მოგვხედა ზეცამ და მას გაუჩინა შესაფერი პანორამა. «ჩაიხედავ, გამოჩნდება, ყველა ნათლათ, უტყუარათ, გინდ იხმარონ მელის ტყავი პირბადეთ და ხელში ფარად». ამისანა საჭვრეტელი არის ერთი და ისიც ბ. სპ. კედიას სარბიელი. მისი სახელია «გუშაგი», ხოლო საქართველო ზედ მიკრულია მეტ სახელათ. მთავარი პირი ამ საჭვრეტელში, რასაკვირველია, მისი რედაქტორია თავისი უშველებელი წერილით, ჩვენდამი მოძღვნილით. ეს ერთი დაუსრულებელი ტრაბახობაა, მოვდივართ, თავს გესხმით, ჩამოდექით, გზა მომეცითო! ერთი სიტყვით, «შემომხედეთ, აი სად ვარ, გმირი ყოვლის შემძლებელი»-ო. ეს ფიცი კი გვწამს,

კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ა

(წერილი საქართველოდან)

არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ შეიძლება წარმოვიდგინოთ აზრთა ისეთი სხვადასხვაობა, როგორიც ამჟამათ კომუნისტურ პარტიაშია. რასაკვირველია, ამით სრულებით არ მინდა იმის თქმა, რომ თითქოს ბოლშევიზმი ოდესმე მონოლიტურ პარტიას წარმოადგენდა და მისი ერთიანობა მხოლოდ დღეს შერყეულიყოს. მის ისტორიას ვინც იცნობს, მისთვის ოდნავადაც არ უნდა იყოს მოულოდნელი ის საშინელი გახრწნა და იდეური გაკოტრება, რასაც დღეს კომუნისტური პირტია (თუ მას პარტია შეიძლება ვუწოდოთ) განიცდის. ყოველ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც თავის დროშაზე დიქტატურას დაიწერს უეჭველად ასეთივე ბედი მოელის. ამის დამამტკიცებელ საბუთებს ისტორიაში რამდენიც გინდათ იმდენს იპოვით, ამის ანალიზსა და დასაბუთებას იძლევა ნ. ჟორდანია თავის შესანიშნავ ნაშრომში «პოლიტიკა»-ში.

ბოლშევიკების პარტია, როგორც ვთქვით, აშკარა კატასტროფის წინაშე სდგას. თუ ოდესმე მასში ვინმე დაინახავდა შინა დემოკრატიზმის აჩრდილს მაინც, დღეს ის განიავებულია და პარტიის წევრთ, პასიური იყოს იგი გინდ აქტიური, წარმოადგენს უბრალო ტიკინას. სტალინის აგენტები მომართავენ ამ მოლაპარაკე ტიკინებს და გამოიყვანენ სამოქმედო ასპარეზზე, სადაც მათი როლი განსაზღვრულია და ნაბიჯი გამოზომილი. მაშასადამე, გარკვეულ კოლეგიალურ აზრსა და ინიციატივაზე ლაპარაკიც სავსებით ზედმეტია, პარტიული ფენა გადაქცეულია ინერტიულ მასად.

ეკონომიური გაკოტრება, რასაც ამ ჟამად მთელი საბჭოთა კავშირი და კერძოთ საქართველო განიცდის, ცხადია თავის ნათელ ბეჭედს დაასვამდა კომპარტიის მორალურ სიმტკიცეს. და აი, ეს არის ის მიზეზი, რამაც ბოლშევიკური პარტია გამოუვალ ჩიხში შერეკა და დღეს თუ ხვალ მას საფლავსაც გაუთხრის.

მთელი სახალხო მეურნეობის ყოველი ცალკეული დარგი განიცდის ნგრევის ზედმიწევნით აჩქარებულ პროცესს, რის გამო მოსახლეობის ცხოვრების პირობები პირდაპირ აუტანელია. რადგან სახელმწიფოში მხოლოდ ბოლშევიკური პარტია ბრძანებლობს, ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებას ის უჩვენებს გზასა და მიმართულებას. ამიტომ შექმნილი უბედურების საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო პარტიული პოლიტიკის გადასინჯვის აშკარა საჭიროება. მაგრამ, როგორც ვთქვით, მას ამის საშუალება და თუ გნებავთ უნარიც წართმეული აქვს იმ თან მომდევრობითი პოლიტიკის გამო, რასაც სტალინი აწარმოებდა ჯერ კიდევ ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლის დროიდან. ჩვენ მოწამენი ვართ ორი დიდი ბრძოლის, რასაც აწარმოებდა ბოლშევიზმის მემარცხნე ფრთა—ტროცკის მეთაურობით და მემარჯვენი—ბუხარინის მეთაურობით. ორივე ამ ფრაქციის განადგურება სტალინმა შესძლო დიქტატურის უმკაცრესი ზომებით. ტროცკი ჯერ პარტიიდან გამორიცხა და თურქესტანში გადაასახლა, ხოლო შემდეგ ოსმალეთში გააძევა, მის მიმდევრებსკი ღირსება ახადა და უმრავლესობას ციხე-გადასახლება მიუსაჯა. ბუხარინი სამსახურიდან გამოაგდო და ერთ დროს ბოლშევიზმის ეს დახელოვნებული მედავითნე იძულებული გახადა ტრიბუნაზე გამოსულიყო და საქვეყნოთ განეცხადებია: შევცდი და მაპატიეთო.—სწორედ იმ ბავშივით, რომელსაც შაქრის ქურდობაში დაიჭერენ ხოლმე. ასევე მოუვიდა რიკოვს, ტომსკის და სხვა მის მიმდევრებს. ამ რიგათ ბოლშევიზმის ძველი მესვეურები ასპარეზიდან განდევნეს და მათი ადგილი დაჭირა იმ ვიწრო ჯგუფმა, რომელსაც ლენინი და მისი პარტია არასოდეს დიდ ანგარიშს არ უწევდა.

შემდეგ აღმოჩენილ იქნა სირცოვ-ლომინაძის შეთქმულება, რომელსაც რაიმე გარკვეული პრინციპიალური მოსაზრება არ ქონია. ისინი ებღაუჭებოდენ როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხნე ოპოზიციის არგუმენტაციას და, რაც უმთავრესია, მიზნათ ისახავდენ სტალინის და მისი პლეადის ჩამოგდებას, მაგრამ ისიც წამსვე იქნა განადგურებული. ერთი სიტყვით, ლომინაძის ჯგუფის შესახებ რაიმე გარკვეული აზრის თქმა შეუძლებელია, რადგან იგი თეორეტიულად მომზადებული ძალების მხრივ ღარიბი აღმოჩნდა და მის არსებობას პარტიულ მასაზე რაიმე რეალური გავლენა არ მოუხდენია. მისი განადგურების შემდეგ დათრგუნვილ იქნა სხვა წვრილი «პერეგიბები» და «უკლონები» და ამრიგათ სტალინმა «თავი დააღწია» ფრაქციულ ბრძოლისაგან.

როგორც ვხედავთ, სტალინმა თავისი ნაცადი მეთოდებით პარტიას თანდათანობით ახადა ყოველგვარი ღირსება და იგი თავის ჰარამხანად გაიხადა, რითაც თავისი პოლიტიკის გადასინჯვის შესაძლებლობა ძირშივე აღკვეთა. ეს ითქმის პარტიის არა მარტო ძირეულ ფენებზე, არამედ იმ ვიწრო ჯგუფზედაც, რომელიც უშუალოდ მას (სტალინს) უკავშირდება ამას მშვენიერად ამტკიცებს შემდეგი ფაქტიც, რომელიც გადმოგვცეს ზედმიწევნით სწორი წყაროებიდან. წელს პოლიტბიუროს მაისის თუ ივნისის სხდომაზე საკითხი დაისვა ხალხის მასიურად დამშევის შესახებ*). სხდომის ერთი დამსწრე თაგანი გათავხედდა და გამოსთქვა აზრი, რომ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა პურის ექსპორტზე ხელის აღება, ან მისი შემცირებაო. ამის გაგონებაზე სტალინმა თავისებურათ მაგიდას მუშტი დაჰკრა და წამოიძახა: თუ გინდ მთელი ხალხი შიმშილით დაიხოცოს—გასაზიდ პურს ერთი გრამიც არ მოაკლდებაო. ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს არა თუ პარტიული არისტოკრატია, მისი დაბალი ფენაც კი.

როგორც ავღნიშნეთ, ოპოზიციონური განწყობილება ბოლშევიკების პარტიაში განვითარების უმაღლეს საფეხურზეა ასული, მაგრამ გაბედული ხმის ამოღების ძალა არავის შესწევს ჩეკის მოქნილი აპარატის შიშით.

კომპარტიის ეს სასიკვდილო სენი აშკარად სჩანს საქართველოშიაც. სტალინის ერდგული აგენტები აქაც საუკეთესოდ იყენებენ ტირანიის ყველა მეთოდებს და პროკრუსტეს ცნობილ ლოგინზე ხშირათ ათავსებენ ქართველი ბოლშევიკების ამა თუ იმ ცნობილ წარმომადგენელს. აუწევენ ყურს, შებღვერ შემობერტყავენ და თუ მაინც თავისი არ დაიშალა —ტიხე ან ციმბირი და მისი ჯანი.

რადგან «პრინციპიალური» საკითხების შესახებ კრიტიკის დაძვრა აკრძალულია, საწინააღმდეგო განწყობილება შედარებით უფრო წვრიმალ საკითხებში ჰპოულობს გამოხატულებას. იმართება აუწერელი ინტრიგები, კინკლაობა და დაბეზღება. არ არის არც ერთი ასე თუ ისე პასუხისმგებელი კომუნისტი, რომელსაც ინტრიგისა და პოლიტიკური ხულიგანობის გარკვეული სკოლა არ გამოევლოს. ჯერ ერთი თვით სტალინის და კამენევის ცემა-ტყეპის ამბავი ადასტურებს ამ ფაქტს. ვერ ნახავთ ვერც ერთ საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებას, სადაც ასეთ სურათს არ ქონოდეს ადგილი. ასეთი ინტრიგებია გამართული თვით საქართველოს კომპარტიის ცეკაში. მამულია ჯვარს აცვეს იმისთვის, რომ მან სტალინის პოლიტიკა სავსებით სწორათ გაატარა. მისი მოხსნის შემდეგ ბერიამ თავისი შტატი შექნა და ბრალიანი და უბრალო ყველა გარეთ გამორეკა. ცოტა ხნის შემდეგ მასაც აუმხედრდენ მოქიშპეები, რაც ჩქარა შეამჩნია და გორდელაძე ცეკას კულტარის განყოფილებიდან მოხსნა. ხოლო მარიამ ორახელაშვილისა განათლების კომისარიატიდან გამოაგდო. საერთოდ ბერიას ჩეკის სკამიდან ცეკის სკამზე გადმოსკუპებას ქართველი ბოლშევიკები ზედმიწევნით უარყოფითად შეხვდენ. მართლაც მოულოდნელი იყო პროფესიონალი ხულიგანის ასეთ დიდ თანამდებობაზე დანიშვნა, მაგრამ ვინ რას გააწყობდა სტალინის ბრძანების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, კინკლაობისა და ინტრიგების ბადე ყველგან გაბმულია—დაწყებული ცეკადან—გათავებული უბრალო საბჭოთა დაწესებულებამდე. ჩეკა და მისი აპატი სდევნის ამ მოვლენას, მაგრამ რადგან იგი პირადი დამოკიდებულების ხასიათს ატარებს, ამის აღმოფხვრა შეუძლებელია

ასეთ კინკლაობას და შეხლა-შემოხლას ხელს უწყობს პარტიის სოციალური სიჭრელეც. მასში საკმაო ადგილი უჭირავს უცხო ეროვნების ხალხს (35 პროც.). ქართველ ბოლშევიკს საქართველოში იმდენი დაფასება არ აქვს, რამდენიც უცხო ტომისას განსაკუთრებით ჭარბობენ სომხები და რუსები ამას ხელს უწყობს შემდეგი გარემოება: 1. თფილისი ამიერ-კავკასიის ცენტრია და ის ვინც თავის ქვეყანაში საჭიროს ვერაფერს ნახავს—აქეთკენ გამორბის. მარტო ის, რომ ტფილისის მოსახლეობა პროგრესიულად იზრდება უცხო ეროვნების ხარჯზე,—სავსებით ადასტურებს ამ დებულებას. 2. თფილისის დამნაკებმა თავიანთი შავი ზრახვების განსანაღდებლად ბოლშევიკური პარტიისაკენ იბრუნეს პირი, 3. ბოლშევიკური იმპერიალისტური პოლიტიკის თანახმად რუსეთიდან საქართველოში სისტემატიურათ იგზავნებიან ამა თუ იმ სამუშაოზე რუსი ბოლშევიკები. თფილისში მდებარე მთელი რიგი დაწესებულებების ხელმძღვანელებათ და პასუხისმგებელ მოხელეებათ ინიშნებიან რუსები და სომხები. ქართველი კომუნისტები კი შურით შეჰყურებენ ამას და ამრიგათ ინტრიგანული განწყობილება ფრთებს ისხამს და ძლიერდება ნაციონალისტური ტენდენციები, რაზედაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კომუნისტურ პარტიაში ყოველგვარი ოპოზიცია და თავისუფალი აზრი ფრთებ დაჭრილია. მართალია თავის დროზე ბუხარინს საქართველოს კომუნისტებში აშკარა მიმდევრები არ ჰყოლია, მაგრამ სამაგიეროთ ფეხი მოიკიდა ტროცკიზმა. ქართული ტროცკიზმი განსხვავებულს არაფერს წარმოადგენდა მაშინაც კი, როცა იგი ორგანიზაციულად ძლიერი იყო. ამჟამათ ტროცკიზმი სულს ლაფავს. მართალია მას ამ ბოლო დროს რაღაც გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ იგი არსებითად არაფერს წარმოადგენს და უბრალო ანარეკლია იმ შეთქმულების, რომელიც იმ უკანასკნელ ხანებში იქნა აღმოჩენილი რუსეთში და რომლის მეთაურები —კამენევი, ზინოვიევი, უგლანოვი და სხვა—სტალინმა პარტიიდან გამორიცხა და კონტრრევოლიუციონერთა სახელით მონათლა. იყო დრო, როდესაც

*) განსაკუთრებით აუტანელი მდგომარეობაა უკრაინაში და ჩრდ.-კავკასიაში. ამ კუთხის მოსახლეობამ მასიურად მიატოვა საკუთარი კერა და მოედვა მთელ კავშირს პურის საშოვნელათ. დღეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ათასობით ნახავთ უგზო-უკვლოდ მოხეტიალე უკრაინელ მუშებს და გლეხებს. სწორედ ამაზე იტყვიან. მკვდარი მკვდარს აეკიდა, საფლავამდე მიმიტანეო.

მაგრამ ბოლო, ის ოხერი ბოლო, ისე უადგილოთ გამოსჭვრეტს, რომ ძალაუნებურათ გვაკვირვებს ავტორი თვით ჩამოთვლის თავის საქმეებს და აძლევს თავის თავს ქების ფურცელს.

პირველი ქება, რასაკვირველია, ქარუმიძეს და მის «პატრიოტულ» ჩერვონცებს. მაგრამ მან ვერ აგვიხსნა როგორ მოხდა ამ «პატრიოტულ» კომპანიაში ბოლშევიკების აგენტი დოლიძე, რომელმაც ამ დიდი დამსახურებისათვის მიიღო ჯილდო—გამგეობა ნიჟნინოვგოროდის სახელმწიფო ბანკისა. უეჭველია, ბ. კედიას პატრიოტიზმი მეტათ ფართეა, უსაზღვროა, მის ფარგალში შედის ყველა დაწყებული ბოლშევიკებიდან, გარდა რასაკვირველია მენშევიკებისა და საქართველოს ერთი ნაციონალური ფრონტისა. მეორე ქების ფურცელი მიკუთვნებული აქვს იმავე კედიას, იმ საბუთით რომ ის არ არის მომხრე ტერორისა, ე. ი. სისხლის სამართლის დანაშაულისა. ალბათ ახლა ესეც საამაყო თვისებაა: სამწუხაროთ აქაც ავტორს შესწორება შეაქვს, ის არ ყოფილა ტერორის მომხრე «პრინციპიალურათ», ეს რასაკვირველია, არ კმარა, პრინციპი რაღაც განყენებული ამბავია, დაუნახავი და ხელმოუკიდებელი; ბულვარის აკადემიაში პრინციპებს დიდი გასავალი არ აქვს; სიმართლე ბ. კედიას არ დაეკარგვის, ის «აღშფოთებულა» ნ. რამიშვილის მკვლელობით, ეს კი მართლაც სანაქებო ამბავია; აქედან ერთი დასკვნაა შესაძლებელი—მკვლელის დაგმობა და მისი შესაფერათ გასამართლება. ნამდვილათ კი ასეთ დასკვნას ნუ ეძებთ, პირიქით ავტორი ჩვენ გვიტევს, «ყალბი მოწმე წააყენეთო»; ყველამ იცის, რომ ეს «ყალბი მოწმე» აჩვენებდა წინაალმდეგ არა კედიასი, არამედ ბოლშევიკების და ჭანუყვაძისა; გამოდის რომ ეს ორივე დამნაშავენი კედიას სამფლობელოში შეხიზნულან. ეს კიდევ არაფერი, ის ალბათ გულკეთილი კაცია და იცავს წაფორხილებულ პირებს. მხოლოდ ამისათვის საჭიროა რაიმე საბუთი, გარდა კეთილი გულისა და ჩვენ ვეკითხებით მას: რატომ გონია მას მოწმე ბოლშევიკების წინაალმდეგი უეჭველათ «ყალბი», ხოლო მენშევიკების შესახებ რასაც ქუჩაში გაიგონებს ხალისი ჭეშმარიტება? გრენელს თვითონ შეუძლია თავი დაიცვას და არა გვგონია საჭიროებდეს «გუშაგის» გამოსარჩლებას.

* *

სიმართლე არც «გუშაგს» უნდა დაუკარგოთ. მართალია იმას ნაც.-დემოკრატ. პარტიაში გავლენა არ აქვს, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენს პარტიაში გაუჩენია მრევლი და მას ქებათა-ქებით უგალობს. ის იწუნებს პარიზის კოლონიაზე მოლაპარაკეთ ბ.ბ. გ. ქურულს და შ. ამირეჯიბს, სამაგიეროთ აღფრთოვანებულია ვ. ნოზაძით და ი. მანწკავათი. ოღონდაც! მაგრამ განსაკუთრებით აღფრთოვანებით იხსენიებს ბერლინის «სოციალისტურ ოპოზიციას» დ. სალირაშვილის მეთაურობით, რომელსაც კოლონიის კრებაზე შავი მიუცია ს.-დ. კანდიდატისათვის და თეთრი «გუშაგის» მომხრესათვის. აი ეს უეჭველათ გამარჯვებაა ბ. კედიასი, ამას არ ვმალავთ, მისი მრევლი მატულობს «სოციალისტური ოპოზიციით», როგორც ერთხელ ნაც.-დემოკრ. პარტია «გამრავლდა» სოციალდემოკრატიული ბანაკიდან კედიათი და ვეშაპელით და სხვებით.

და ასე, დ. სალირაშვილი კედიასაკენ, კედია ქარუმიძისაკენ, ქარუმიძე დოლიძისაკენ, დოლიძე ნიჟნი-ნოვგოროდის ბანკისაკენ.

ე.

ვიქტორ თევზაია

ნეკროლოგის მაგიერ

(წერილი საქართველოდან)

გასული წლის ივლისის პირველ რიცხვებში თფილისის ფსიხიატრიულ საავადმყოფოში თავი მოიკლა ვიქტორ თევზაიამ. ჩვენი პარტიის ინტელიგენტთა ჯგუფში ვიქტორს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, როგორც მომზადებულ მარქსისტს, გულწრფელ ამხანაგს. მაგრამ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, როდესაც დამპყრობელებმა უსაშინელესი წამების მეთოდები შემოიღეს ჩვენი პარტიის თვალსაჩინო წევრების მიმართ, ვიქტორს უღალატა ხასიათის სიმტკიცემ. შეირყა მისი რევოლიუციონური ნებისყოფა და თავის გადარჩენის მიზნით, დამპყრობელთა კარნახით, უარყო თავისი თავი. ვიქტორის კალმით მტერს უნდოდა შეეტანა ჩვენს პარტიაში არევდარევა და გახრწნა. მაგრამ ქართველი ერის ჯალათებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ჩვენი პარტია პიროვნების ავტორიტეტზე არასოდეს არ ყოფილა აგებული და, რასაკვირველია, ამა თუ იმ პიროვნების სისუსტე პარტიას ვერ შეარყევდა. ჯალათებმა მიაღწიეს მხოლოდ იმას, რომ ვიქტორმა ვეღარ გაუძლო სინდისის ქენჯნას და საგიჟეთის კარებამდე მივიდა.

ვიქტორთან მაკავშირებდა ძველი მეგობრობა. მეგობრულ, გულახდილ ბაასის დროს ვიქტორს ეშინოდა, რომ სიტყვას არ მოჰყოლოდა რაიმე, რაც მოგვაგონებდა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ბოლშევიკების ბატონობის ხანაში, ეშინოდა მას დროებით თავშეკრულ იარების გახსნის. ერთმანეთს ვენდობოდით. მიუხედავად ამისა ჩვენი ერთად ყოფნა სიჩუმით იყო ხშირად მოცული. ეს სტანჯავდა ვიქტორს.

შიში და სინდისის ქენჯნა ერთი წუთითაც არ ასვენებდა ამ გაუბედურებულ ადამიანს. შიში იმ წამების, რომელიც გამეფებულია ჩეკის სარდაფებში; სინდისის ქენჯნა—რომ იგი მტრებმა გამოიყენეს და აქციეს იმათ, რაც არასოდეს არ უნდა ყოფილიყო—აი სულიერად დაავადებისა და თვითმკვლელობის ერთად ერთი მიზეზი. ექიმების აზრით ავათმყოფობა დროებითი ხასიათის იყო, ვინაიდან უკანასკნელ თვეებში თვალსაჩინო გამოკეთება დაეტყო. იყო დღეები, როცა სრულიად ნორმალურ სულიერ მდგომარეობას განიცდიდა და აი ამ დროს იწყებოდა ვიქტორის სულიერი ტანჯვა.

— რაღა ვარ, რა ვიქნები, რომ განვიკურნო კიდეც? აი მისი სიტყვები, რომელნიც ყოველ შეხვედრაზე მეორდებოდა. მის ერთად ერთ საოცნებო საგანს მისი ძველი, ყოფილი მეგობრების შეხვედრა წარმოადგენდა.

— ჩემი მკურნალობა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, თქვენს ხშირად მოსვლას. მაპატიეთ, ნუღა მემდურით, სისუსტე გამოვიჩინე. სასაფლაოზე ნუ გამომყვებით, ხოლო აქ მინახულეთ ძველმა პარტიულმა ამხანაგებმა.—და ამოუჯდებოდა ხოლმე გული.

ვეღარ გაუძლო შიშსა და სინდისის ქენჯნას და ამჯობინა საკუთარი ხელით მოესპო ფიზიკური არსებობა.

ვიქტორის ცხედარი, რომელიც სხვაგვარ პირობებში სხვანაირ სითბოსა და ცრემლებს წაიღებდა ქართველი ხალხისა და მეგობრებისგან, ცოცხალი მაგალითია იმის, თუ რა მოელის საზოგადო მოღვაწეს, როცა იგი ნებით თუ უნებლიეთ გადაუდგება თავისი ერის განთავისუფლების საქმეს და ზურგს აქცევს ამ ერის მეთაურს, მებრძოლ პარტიას.

ვიქტორი აღარ ეჭვიანობდა იმაში, რომ მისი სამშობლო დღეს თუ ხვალ განთავისუფლდებოდა ჯალათებიდან. და აი იმის შიშმა თუ რა პირით შეხვედროდა თავისუფალ საქართველოს დააჩქარა მისი პირადი კატასტროფა. როგორღა შეხვდებიან გამარჯვებულ საქართველოს ვიქტორის ბედში მყოფნი და მაზე გაცილებით შორს წასულნი?

ვიდრე დრო არის. ამ კითხვას უნდა გასცენ პასუხი ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა.

ერთი მახლობელთაგანი.

რას სწერენ საბჭოთა კავშირზე

მიუხედავათ დიდი ამბების თვით ევროპაში, ევროპიული პრესა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს მდგომარეობას საბჭოთა ქვეყნებში. ჩვენ გვინდა გავაცნოთ მკითხველს ევროპის ზოგიერთ გავლენიან ორგანოების აზრი იქაურ მდგომარეობაზე. ეს მით უფრო ღირსია ინტერესის, რომ ორივე წერილი, რომელიც მოგვყავს დაწერილია მოსკოვში იქ მცხოვრებ ევროპიელ კორესპოდენტების მიერ.

«მეორე ხუთწლედის საზღვარზე».

ამ სათაურით პარიზელ «ტანის»—(დიდი საინფორმაციო ოფიციოზია) მოსკოველი კორესპოდენტი აწვდის გაზეთს, თებერვლის თარიღით, ფრიად საინტერესო ცნობებს სტალინის სამფლობელოს თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობაზე. «უკვე გასულ შემოდგომაზე ხელისუფლება დარწმუნდა, რომ თესვა ცუდათ სწარმოებდა, პური არ შემოდიოდა, გლეხებს გადაწყვეტილი ქონდათ თავის თავის გამომკვება სანამ თავის შრომის ნაყოფს სახელმწიფოს ჩააბარებდენ». კორესპოდენტი ჩამოთვლის აქ დრაკონიულ ზომებს, რომელიც მიიღო მთავრობამ ინდივიდუალურ გლეხების წინაალმდეგ მდგომარეობის გამოსასწორებლათ. მაგრამ უკვე ნოემბერში გამოირკვა რომ დაბრკოლებათა მიზეზი ინდივიდუალურ გლეხების გარეშე იყო. სწორეთ თითქმის სრული კოლექტივიზაციის რაიონებში—დასავლ. ციმბირი, ჩრდილო კავკასია, ვოლგა, უკრაინა—აქვს ადგილი საბოტაჟს: კავკასიაში ნათესის სივრცის მხრით დეფიციტი 20 პროც. უდრის და სადაც დათესილია ნათესი მეტად მეჩხერია, აქა-იქ ასეული და ათასეული ჰექტარის მოსავალი არ აუკრეფიათ და მრავალი ათასი კალო არ გაულეწიათ. ამის მიზეზი იყო: სამუშაო ხელის ნაკლებობა, ბიუროკრატიზმი, ტრაქტორების უვარგისობა, გლეხების გადაწყვეტილება—რათ უნდა დავიმუშაოთ პური, რომელსაც სახელმწიფო წაიღებსო და სხვ. «ყველაზე უარესი ის არის, რომ ჯიუტობას იჩენენ კოლხოზები და თვით სოვხოზებიც კი... მდგომარეობა სერიოზულია!» აქ ხელისუფლება მიმართავს «გმირულ» ზომებს. სატახტო ქალაქის პრესა სდუმს ამ ზომებზე, ხოლო პროვინციელი გაზეთები ხშირად აქვეყნებენ ცნობებს უსასტიკეს რეპრესიების შესახებ. ასე, მაგალითად, როსტოვის «მოლოტი» იუწყებოდა, რომ მთელი სოფლები გარშემორტყმული იყვნენ. დანარჩენ ქვეყანას მოწყვეტილნი. და ბოლოს მათი მოსახლეობა ერთბაშათ და უკლებლივ გადასახლებულ იქნა ციმბირში. არც ამ ზომებმა გასჭრა. აღმოჩნდა, რომ 15 იანვარს მთელი უკრაინის 15 სოვხოზიდან არც ერთს არ მიეწოდებია სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი რაოდენობა პურისა. ამ მდგომარეობამ გამოიწვია სტალინის მიერ ცეკას და ცეკაკას სხდომაზე წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში აღნიშნული ზომები. დიქტატორმა აღიარა, რომ «ჩვენი 200.000 კოლხოზი, ჩვენი 5000 სოვხოზი, ჩვენი 2500 სატრაქტორო სადგური, რომელნიც ჩვენი სათესი სივრცის 80 პრ. წარმოადგენენ, უმეტეს შემთხვევაში ვერ ამართლებენ თავიანთ ხარჯებს». აღმოჩნდა, რომ კოლხოზებს თავისთავად «არ აქვთ არავითარი სოციალისტური ღირებულება». პირიქით, ისინი იძლევიან ხელსაყრელ თავშესაფარს და ორგანიზაციას წინედ განცალკევებულ მტრებისთვის. აქედან დასკვნა: კოლხოზებში, სოვხოზებში და სატრაქტორო სადგურებში უნდა დაარსდეს «პოლიტიკური სექციები», ე. ი. გეპეუს განყოფილებები, რომელთ მოვალეობაა არა მარტო «კონტრრევოლიუციის» აღკვეთა, არამედ კომუნისტების გაწმენდაც. პარტიული ბილეთით შეიარაღებულ «მერზავცების» და აგრეთვე სუსტთ აღმოფხვრა და განდევნა.

არც ქალაქებშია უკეთესი მდგომარეობა. 1 იანვარს პურის ფასმა 50 პროც. მოიმატა, ასევე ყოველგვარი სანოვაგე, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული. «იზვესტიას» აბონიმენტი 1 მ. 20 კ. 3 მან. ავიდა. ეს ხომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასებია, ხოლო კერძო ბაზარზე ლაპარაკიც მეტია: 10 კვერცხი—16 მანეთია, 1 კილო ხორცი—25 მან. 1 კილო ერბო—60 მანეთი. სტაფილო—1 მან. იჭვი გებადება—სწერს კორესპონდენტი—განძრახ ხომ არ აწარმოებენ მანეთის ღირებულების დაცემას, რათა მის ადგილას ფულის ახალი სისტემა დააწესონ.

კორესპოდენტი ეხება მუშების მდგომარეობას. «კოლექტიური საკუთრების» დაცვის საბაბით მოსკოვში ხვრეტენ მუშებსაც კი ისეთი ქურდობისათვის, რომელიც სხვა ქვეყნებში სრულიად უმანკოთ ჩაითვლებოდა. ერთი დღის გაცდენაც კი იწვევს სამუშაოდან და სამსახურიდან დათხოვნას. როგორც კი შესწყვეტთ მუშაობას ამა თუ იმა საწარმოვო დაწესებულებაში, არამც თუ გართმევენ სანოვაგის ბარათს, არამედ თქვენს ოჯახთან ერთად ბინიდან ქუჩაში გაგაგდებენო. ამავე დროს შეუდგენ მასიურ დათხოვნას სამსახურიდან და სამუშაოდან 20, 30, 60 პროც. პროპორციით. ყველა ამ გაუბედურებულ ხალხს ერთმევა სასანოვაგე ბარათები, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისიო. ყველა ამ ზომებს თან დაერთო «ძველი რეჟიმის განქმული პასპორტის მკვდრეთით აღდგენა»... «სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ სახეში აქვთ 1 ივნისამდე 900.000 კაცი გააძევონ მოსკოვიდან». ამ ზომების გატარება მინდობილი აქვს მილიციას, რომელიც გათქვიფეს გეპეუსანო...

«ეხლა ადვილი წარმოსადგენია თუ რა შიშის ძრწოლით უნდა იყვნენ შეპყრობილნი მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, როსტოვის, თბილისის და სხვ. მცხოვრებნი»...

..მდგომარეობა მეტად ცუდი უნდა იყოს იმ ხელისუფლებისათვის, რომელიც გამოსავალს მხოლოდ რეპრესიულ ზომების ამ უმაგალითო გამწვავებაში ხედავს», დაასკვნის «ტანის» კორესპოდენტი, ბ. პიერ ბერლანდი.

«კლასთა ახალი განსხვავებანი რუსეთში».

«რაღაც გასაშტერებელი ამბავი ხდება საბჭოთა კავშირში»—სწერს მოსკოვიდან კორესპონდენტი ვენის დიდ გაზეთს «ნოიე ფრაიე პრესეს»-ს *), თებერვლის თარიღით. «ოფიციალური ფულის ნიშანი არის ჩერვონეცი, მაგრამ მისი სყიდვითი ძალა დღითი დღე

*) Neue Freie Presse, 10 თებერვლის. ვენა.

საერთოდ ტროცკიზმი და მასთან ქართველი ტროცკისტებიც ებრძოდენ სტალინის დესპოტიას. 1929 წ. მეტეხი გაივსო. მაგრამ გადასახლებამ და ციხის უხეირო პირობებმა ჩქარა მოდრიკა ისინი და ხელი აალებინა მკვეხარა სიმტკიცეზე. დასწერეს დეკლარაციები, მიართვეს სტალინს, დაბრუნდენ სამშობლოში და მოეწყვენ თბილ ადგილებზე—სამეურნეო დაწესებულებებში. ასე მოიქცა თითქმის ყველა, გარდა მცირე გამონაკლისისა, როგორიცაა ლადო დუმბაძე, კოტე ცინცაძე (ციმბირში მოკვდა), გ. ხუტულაშვილი, გ. კვაჭაძე. ხ. დონაძე და სხვ. დაბრუნებული ყოფილი ტროცკისტები პოლიტიკურ პარტიულ საქმიანობას სრულიად არ გაატარეს; ცხადია სტალინი მათ არ ენდო. მაგრამ ეს ოდესღაც ცნობილი ჰეგემონები მოეწყვენ თბილ სამეურნეო ორგანიზაციებში და ცხოვრობენ თავისთვის განცხრომით. ბუდუ მდივანი ჯერ აბრეშუმის ტრესტის მართველად დანიშნეს, ეხლა კი მსუბუქი მრეწველობის კომისარიატი ჩააბარეს, თუმცა ამ უკანასკნელად, ტროცკისტების ახმაურებას ისიც აჰყვა და საქართ. სახკომსაბჭოს სხდომაზე სტალინის ქვეს მითითებას ერთი ლაზათიანათ შეუკურთხა, მაგრამ ბერიას მიერ უკანასკნელი გაფრთხილების შემდეგ ისევ ხმის ჩაკმენდა ამჯობინა. რა ვუყოთ. სული მწარეა! მიშა ოკუჯავა, რომელმაც გადასახლების დღეს თფილისის სადგურზე მასთან მისულ კომუნისტ დელეგატ მუშებს ასე მიმართა: თქვენ იკითხეთ საწყლებო, მე რომ დაბრუნების სურვილი განვაცხადო, ეხლავე ოქრო მომერთმევა და თქვენს წინ გავისრიალებო,—ეხლა სართავ მცენარეთა ტრესტის დირექტორია და კვალინლებურად დანავარდობს თავისი სანატრელი ავტოთი. ასევე მოიქცა რუსეთიდან დაბრუნებული თითქმის ყველა ტროცკისტები.

ამრიგათ, ორგანიზაციულათ ქართველი ტროცკიზმი განადგურებულია. თითო-ოროლა თანამგრძნობი შერჩა უკმაყოფილო ბოლშევიკთა შორის, საიდანაც ღებულობენ არალეგალურ ლიტერატურასაც, ეძებენ თანამშრომლებს, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მათი გამოცოცხლება შეუძლებელია სავსებით გასაგები ობიექტიური პირობების გამო.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გამეფებული დესპოტიზმის გამო პარტიის თვითმოქმედების შესაძლებლობა მოსპობილია; მისი ზედა ფენა კინკლაობის მორევშია შეცურებული, პრინციპიალური ბრძოლის ასალაგმავად სტალინს—გარდა დატუქსვისა, გამოყენებული აქვს კეთილ მოწყობის მეთოდიც. მაშინ, როდესაც პარტიის საშუალო ფენის დიდი ნაწილი და დაბალი ფენა—ხალხთან ერთად შიმშილს განიცდის, პარტიის ბიუროკრატები განცხრომით ცხოვრობენ. მათთვის არსებობს ყველაფერი: სპეციალური დახურული დუქნები—მყუდრო ადგილას, საიდანც ე. წ. მედ.—წიგნაკებით თითქმის მუქთად ღებულობენ თეთრ პურს, ხორცს, კარაქს, ერბოს, ყველს და სხვა საჭირო სურსათ-სანოვაგეს; საუკეთესო ტანთსაცმელი და მრავალოთახიანი ბინა ხომ მზათაა. ერთი სიტყვით, ამ ფენის ცხოვრების პირობები არაფრით განსხვავდება ძველი მსხვილ სახელმწიფო მოხელის პირობებისაგან. არსებული ეკონომიური გაკოტრება, მასების ფიზიკური განადგურება და პოლიტიკური ბონაპარტიზმი მათთვის ნათელია, მაგრამ საკუთარ ფეხზე დადგომის უნარი აღარ შესწევთ და დარჩენიათ მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის სიტყვები დევიზათ: ისევ და ისევ ღვინითა, დრო გავატაროთ ლხინითა! ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა კომუნისტმა, რომლის გვარს არ დავასახელებთ, ერთ ვიწრო ჯგუფში ასე განაცხადა: ნუთუ არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია ჩვენი ჩამოგდებაო! და ეს გასაგებია. ერთი სიტყვით, ამ ხალხისაგან სტალინის ერდგული ძალიან ცოტა მოიძებნება. ბოლოსდაბოლოს ალვირი ცხენსაც შეაწუხებს, რაგინდ ქერზე დააბა იგი! მაშასადამე. დარჩა წმინდა ადმინისტრატიული ჯგუფი, რომელსაც ხელში უჭირავს სტალნის მაგარი ჯოხი და თავში ჩასცხებს იმას, ვინც გაბედავს «ხაზის გამრუდებას». ამ ჯგუფში პირველ ყოვლისა შევა ბერია თავისი ჩეკით. პოლიტიკური ყეყეჩი მახარაძე, თითო-ოროლა პარტ. ბიუროკრატი და რამდენიმე უმწეო ფანატიკოსი.

საშუალო ფენის ნაწილი და მთელი დაბალი ფენა სულშეხუთრულია ეკონომიურად და პოლიტიკურად. ამ ფენების ერთი ნაწილი მატერიალური სივიწროვისაგან თავის დეხწევას ახერხებს ქურდობით. ვერ ნახავთ ვერც ერთ სამეურნეო დაწესებულებას, ხადაც ქურდობისა და მითვისების სხვადასხვა ხერხები არ იყოს გამოყენებული. მაგრამ ეს საშვალებაც სახიფათოა, რადგან ჩეკა და საკანტროლო კომისია ადვილად ახერხებს კვალის მიგნებას. მეტეხის ციხის ერთი კორპუსი და საგუბერნიო ციხე სავსეა ასეთი ნახევრად ექსპროპრიაციის ნიადაგზე დაპატიმრებული კომუნისტებით. ამ რამდენიმე დღის წინათ საქვაჭრობაში აღმოჩენილ იქნა არაჩვეულებრივი გაფლანგვა, რომელიც ნახევარ მილიონ მანეთს აღემატება. ეს საქმე მოწყობილ იქნა კომუნისტ ხელმძღვანელების მიერ... ზოგიერთი უპარტიოთა მონაწილეობით. მეთაურების ერთმა ნაწილმა მოასწრო მიმალვა, მაგრამ დანარჩენები უკვე დააპატიმრა ჩეკამ. კოოპერატივთა კავშირში აღმოჩენილი იქნა მიმთვისებელ ქურდების მთელი პლეადა—59 კაცის მონაწილეობით, რომელშიაც კომუნისტი აღმოჩნდა 43. ამ ბოლო დროს ქურდობის ასალაგმავათ გამოიცა სპეციალური დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს დახვრეტას, მაგრამ ეს კანონი უმთავრესად უპარტიო მფლანგველებზე ვრცელდება. რამდენიმე კვირის წინათ ამ ნიადაგზე ჩეკის მიერ დახვრეტილ იქნა 13 კაცი, ხოლო 16 ოქტომბერს 15 კაცი, მათ შორის—დოლობერიძე, ანდღულაძე, კახიანი ქირია და სხვ. დანარჩენი გვარების გამორკვევა ვერ მოვასწარით. ერთი სიტყვით, პარტიული მასა სრულ გახრწნას განიცდის. ამას ყველა აშკარად ხედავს.

ძველი კომუნისტებიდან რეჟიმს თითქმის აღარავინ შერჩენია. მახარაძე პოლიტიკურ ტიკინას წარმოადგენს და მას იყენებენ მხოლოდ გამოსაჩენ ადგილას, როგორც რეკლამას. პარტიულ მასაში მან ყოველგვარი ავტორიტეტი დაჰკარგა. მამია ორახელაშვილი ორჯერ მოხსნეს ზაკრაიკომიდან და მეულეც თან მიაყოლეს. დატუქსვის შემდეგ «ხაზი გასწორა» და დააბრუნეს თავის ძველ ალაგას, მაგრამ ეხლა ისევ მოხსნეს და მის ადგილას ბერია დანიშნეს. ცხაკაია ზედმიწევნით გამოტვინდა, პოლიტიკური ფასი და წონასწორობა დაჰკარგა, რის გამო «თავაზიანმა» კობამ იგი კომინტერნში გადაიყვანა და მის ერთ სექცია-მუზეუმში მოათავსა—როგორც ეგზემპლიარი «დამსახურებული კომუნისტისა». ერთი სიტყვით, იგი ეხლა მოსკოვშია. ოქუაშვილი ტრცკის ოპოზიციაში მოხვდა, სტალინმა ისიც გაწკეპლა და კარგა ხნის გაბუტვის შემდეგ ეხლა ძგელ ბოლშევიკთა საზოგადოებაში მუშაობს, ყოველგვარ პოლიტიკურ როლს მოკლებული. კახიანი ამ რამდენიმე წლის წინათ მოხსნეს ცეკას მდივნობიდან და შუა-აზიის ცეკას მესამე მდივნათ გადააგდეს. რაჟდენ კალაძე კარგა ხანია პარტიიდან გამორიცხულია. იოსებ კაკაბაძის რამდენიმე წელია არაფერი ისმის. ს. ქავთარაძე და ლ. ღოღობერიძე საქართველოდან დიდი ხანია გააძევეს და ეხლა მგონი რუსეთის რომელღაც ქალაქში უნდა ცხოვრობდენ. ლ. ქართველიშვილი, როდესაც ზაკრაიკომიდან მოხსნეს—რუსეთში გაიწვიეს და ეხლა მოსკოვში იმყოფება სრულიად უმნიშვნელო სამსახურში. მამულია ცეკის მდივნობიდან განდევნეს, შემდეგ ა. კ. მიწსახკომის მეორე მოადგილეთ დანიშნეს, მაგრამ ეს თანამდებობა იუკადრისა და ისიც რუსეთში გაიხიზნა. სუხიშვილი ა. კავკ. წყალთა სამართველოს სამელიორაციო განყოფილებაში მუშაობს. თ. ელენტის მემარჯვენეობის შესახებ გაზეთები შეაწუხეს და ისიც ერთ პატარა თანამდებობაზე მუშაობს. დუმბაძე—როგორც ვიცით გადასახლებაშია, ხოლო მდივანი და ოკუჯავა დიდი ხანია, რაც პოლიტიკურად განისვენებენ. ვანო ბოლქვაძე, რომლითაც ერთ დროს კახიანი ამაყობდა—ჯერ თფილისის აღმასკომიდან გააძევეს და სასამართლო უწყებაში გადაიყვანეს, როგორც მართლმსაჯული კომუნისტი, ხოლო ეხლა იქიდანაც მოხსნეს და სადღაც გადაისროლეს. ბესო კვირკველია უკლონისტობის მონანიების შემდეგ სამართლის ინსტიტუტის გამგეთ დანიშნეს, მაგრამ როგორც გავიგეთ იქიდანაც მოხსნას უპირებენ. მ. ტოროშელიძეს ყოველ კვირაში უცვლიდენ თანამდებობას, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სტალინის «პლეადას» ეკუთვნის. დანარჩენი ნაწილი ასე თუ ისე წარსულის მქონე ბოლშევიკებისა პოლიტიკურ ასპარეზს (როგორც ზემოდ აღნიშნული ლიდერები) სრულიად მოწყვეტილნი არიან და მსახურობენ ერთგვარ კოოპერატიულ დაწესებულებებში, როგორიცაა ძველ ბოლშევიკთა და წითელ პარტიზანთა საზოგადოებები. ამ დაწესებულებებს წვრილი სავაჭროები აქვთ აქა-იქ, სადაც თავს ირჩენს და ირთობს ეს უბადრუკი ხალხი.

როგორც ვხედავთ, ძველი კომუნისტები პოლიტიკური ასპარეზიდან განდევნილია. მათ აღარავინ არაფერს ეკითხება. სამაგიეროთ მათი ადგილი დაიჭირა ბერიამ, ჩეკის მეთაურმა ეხლა—ლორთქიფანიძემ, ვიღაც მელაძემ და სხვ. ერთი სიტყით, სტალინმა უტყუარი დასაყრდნობი გაიჩინა—საქართველოშიაც მოხდა ისე, როგორც რუსეთში და კავშირის სხვა კუთხეებში.

ამის შემდეგ თავისთავად გასაგებია, თუ როგორი უნდა იყოს პარტიის მართველობა. მისი წევრები გაერთიანებულია უჯრედებში და ბიურო კოლექტივებში. აქედან წინასწარ შერჩეული სიით დგება რაიონული კომიტეტი, ხოლო ყრილობას წარედგინება კანდიტატების სია, რომელიც ირჩევა ყოველგვარი შეცვლის გარეშე—ცენტ. კომიტეტის შესადგენად. ასეთივე მზა სიით დგება ც. კ. პრეზიდიუმი, რომელიც სტალინის მიერ ნაჩვენები კანდიტატების თანახმად გამოყოფს სამდივნოს (სამი წევრი). როგორც ხედავთ დიქტატურის სისტემა აქაც ძალაშია, მაღალი თანამდებობის პირები პირდაპირ მოსკოვიდან ინიშნებიან და ყრილობაც მათ ღებულობს ყოველგვარი სიმპატია-ანტიპატიის გარეშე. პარტიული მასა პირში ბურთ ჩაჩრილია. მართალია, ბერიას სათავეში წამოსკუპება არავის ესიამოვნა, მაგრამ ვინ რას გააწყობს! ასევე ხდება დათხოვნაც. გასულ წელს სტალინმა ჩუმათ ჩამოიარა საქართველო და როდესაც საკუთარი თვალით იხილა თავისი მრუდე პოლიტიკის ნაყოფი,—ცოდვები მამულიას და სუხიშვილს აჰკიდა და ორივე ა. ურუშაძესთან და გ. დევდარიანთან ერთად სამსახურიდან მოხსნა. ქართული კომპარტიის, როგორც გარკვეული პოლიტიკური კატეგორიის არსებობა მხოლოდ ფიქციაა. საკუთარი სახის გამომჟღვანების უნარი მან უკვე დაკარგა. საქ. ცეკას სამდივნო უმკაცრესი რეჟიმის ქვეშ ატარებს მოსკოვიდან მოსულ დირექტივებს. რაც შეეხება მცირე სახის პრაქტიკულ საკითხებს (საშუალო თანამდებობის პირების დანიშვნადათხოვნა, საყვედური და პარტიული ღირსების ახდა და სხვ.) ეს მოსკოვისათვის იმდენათ საინტერესო არაა და ამას მისი ერთგული ბიჭებიც შესძლებენ.

ისელი.

(დასასრული იქნება)

ეცემა თავისუფალ ბაზარზე და მეტი თუ არა, თვეში ერთხელ მაინც—სახელმწიფო ვაჭრობაში. ნელა მაგრამ უტყუარათ ჰკარგავს ის საერთოთ ფულის თვისებებს». ის უკვე არაფრათ მოსახმარი ყოფილა: მის შენახვას ხომ აზრი არ აქვს მას შემდეგ რაც კერძო ვაჭრობა და წარმოება აღმოფხვრილია და დაგროვილ კაპიტალს საქმეში ვერ ჩასდებ; ვაჭრობაში ხომ მას ღირებულება ეკარგვის, არც ე. წ. გამანაწილებელ პუნქტში აქვს მას გასავალი (აქ ფული საზოგადოთ კარგავს თავის ხასიათს), ვერც ოქროზე გაცვლი მას; სამაგიეროთ ფულის თვისებას იძენს ე. წ. ტორგსინის ბონი. ის არის უპირადო და მას ყოველ შემთხვევაში იღებენ, მისით ყველაფერს განუსაზღვრელად იყიდი ტორგსინის მაღაზიებში, მას გაცვლი ოქრო-ვერცხლში და უცხო ვალიუტაში. «მაგრამ პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფოსათვის ეს სწორედ რომ საოცარი ფულია!» მისი შეძენა შეუძლია მხოლოდ იმათ, ვისაც ოქრო-ვერცხლი აქვთ, ან უცხოეთიდან ვალიუტას უგზავნიან, მისი პოვნა შეიძლება აგრეთვე სარისკო სპეკულიაციის გზით. არის მხოლოდ ერთად ერთი გზა რომლითაც მისი მოპოვება შეუძლებელია: ეს არის გზა პატიოსანი საწარმოო შრომისა.

«თუ საბჭოთა მოსახლეობის კლასებათ დაყოფა გსურთ იმისდა მიხედვით, თუ როგორ უნაწილებს მას საბჭოთა სახელმწიფო მოსახმარ საგნებს, პირველ რიგში უნდა ჩააყენო ტორგსინის ბონების პატრონები. ესენი არიან ყოველივე მხრით პრივილეგიური კლასი. ამათ უშუალოთ მოსდევს უმაღლესი ბიუროკრატია. გამანაწილებელი პუნქტები ხომ სხვა და სხვა ხარისხისაა. სახელმწიფო და პარტიულ მაღალ და უმაღლეს ბიუროკრატიისათვის არსებობს განსაკუთრებით პრივილეგიური განმანაწილებელი პუნქტები. უმაღლესნი ბიუროკრატთა შორის განუსაზღვრელათ იღებენ საქონელს ტორგსინიდან. დიდი ხანი არ გასტანს, რომ კლასიური მხრით უმაღლესი ბიუროკრატია ტორგსინის ბონების პატრონთ შეუერთდება, ვინაიდან ადრე თუ გვიან ის ჯამაგირს ამ ბონებით მიიღებს». შემდეგ მოდის დანარჩენი უმაღლესი ბიუროკრატია, ხოლო ამას მოჰყვება განსაკუთრებით პრივილეგიური ფენა მუშათა კლასისა და მხოლოდ შემდე, მეხუთე ადგილზე, მიდის პროლეტარიატის მასა». რევოლიუციის დასაწყისსო, მოგვითხრობს კორესპონდენტი, გაიძახოდენ, რომ კლასიური დიქტატურის აზრი იმაში იყო, რომ ახალ მპყრობელ კლასისთვის—არა მისი ცალკე წევრებისათვის, არამედ მთელ კლასისათვის—უზრუნველეყოთ არსებულ მოსახმარ ღირებულებათა მაქსიმუმი. «მაგრამ შემდეგ რევოლიუციამ თავისავე წიაღიდან წარმოშო ახალი კლასები და ფენები. არაფერი არ ახასიათებს ისე საბჭოთა რევოლიუციის ისტორიას, როგორც ტორგსინის ბონის ბატონობა»...

წერილი ჩეხოსლოვაკიიდან

(გერმანელ სოც.-დემ. პარტიის ყრილობა)

გერმანელი სოციალდემოკრატიული პარტია ჩეხოსლოვაკიაში დაარსდა 1919 წ., როგორც შედეგი ავსტრო-უნგრეთის დაშლის რამოდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. ცნობილია რომ არც ერთი პოლიტიკური პარტია გერმანელი ტომისა, რომელიც მოხვდა ახლად დაარსებულ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საზღვრებში, არ ურიგდებოდა ამ უკანასკნელის დამოუკიდებლობას, მათ შორის ს. დემ. პარტიაც. ტრაღიკული იყო მისი მდგომარეობა. ახლათ დაარსებულ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დედაბოძი იყო მუშათა კლასი მისი სოც. დემ. პარტ. მეთაურობით. ბრძოლა მოძმე პარტიებს შორის ღებულობდა ხშირად მწვავე ხასიათს და მის ლიკვიდაციას კაი ხანი დასჭირდა. პრეზიდენტ მასარიკის და ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატიული პარტიის გამჭრიახობით ბევრი ეგრეთ წოდებული «ნეგატივისტები» გერმანელთა შორის «მოშინაურდენ», დაიწყო შერიგება ახალ სახელმწიფოსან, ცნობა ჩეხოსლოვაკიის ნიადაგზე მოღვაწეობის აუცილებლობის. მაგრამ ყველაზე უფრო კატეგორიული ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ გერმანელმა სოც. დემ. პარტიამ. ხუთი წლის წინათ დაიწყო დაახლოვება საერთო პლატფორმის ნიადაგზე ორ მოძმე პარტიათა შორის: საერთო გამოსვლა ყველა საკითხებში, რომელიც ეხება მუშათა კლასის ბედ-იღბალს, საერთო წინააღმდეგობა ფაშისტური და კომუნისტური დემაგოგიისა, ბრძოლა თავ-თავისი ერის ატმოსფერის მომწამვლელი შოვინისტური აგიტაციის წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიის სოც. დემ. პარტიამ თავის მოვალეობათ გაიხადა ბრძოლა გერმანელების სამართლიანი ეროვნული მოთხოვნილების—როგორც უმცირესობის—დასაკმაყოფილებლათ; გერმანელი ამხანაგები კი დადგნენ გადაჭრით ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის ნიადაგზე და სამი წლის წინეთ პარტიამ გაგზავნა მთავრობაშიც კი პირველათ თავის წარმომადგენელი. პარტიის თავმჯდომარე, უუგავლენიანესი და უუსაყვარლესი მისი ბელადი ამხ. ჩეხი. ძალიან ჯიუტობდენ ამაზე ბურჟუაზიული პარტიები, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატიამ, რომელიც რამოდენიმე წლის განმავლობაში მთავრობიდან გამოსული იყო და ურომლისოთაც 1929 წ. საპარლამენტო არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მთავრობა ვერ შედგებოდა, გერმანელი ამხანაგების მონაწილეობა მთავრობაში პირველ მოთხოვნილებათ წაუყენა კოალიციას. ამრიგათ ამხან. ჩეხი—სოციალუზრუნველყოფის მინისტრი დღემდის.—ითვლება ერთ ერთ თავდადებულ მუშაკათ და ის გადაიქცა უუსაყვარლეს მინისტრათ მთელი მუშათა კლასის ჩეხოსლოვაკიაში განურჩევლათ ეროვნებისა. სოლიდარული თანამშრომლობა რესპუბლიკის ცხოვრების ყოველნაირ დარგში მოძმე პარტიებს შორის საბოლაოთ განმტკიცდა. თუ ჩეხოსლოვაკიის სოც. დემ. პარტია თვისი სიდიდით არის მეორე პარტია ჩეხოსლოვაკიის პარტიათა შორის, მას ყავს მთავრობაში სამი მინისტრი, რომელთაგან ერთი არის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ყავს აგრეთვე მისი თავმჯდომარე სენატში.—გერმანელი ს. დ. არის პირველი პარტია თავისი სიდიდით გერმანელ პოლიტ. პარტიათა შორის. უკანასკნელს ყავს ნახევარი მილიონი ამრჩეველი, ამდენივე რიცხვით პროფესიონალურ კავშირებში, 70.000 პარტიის წევრი, 7-8 ათასი ახალგაზდათა ორგანიზაციაში, შვიდი ყოველდღიური გაზეთი. 11 კვირეული და 3 თვიური ჟურნალი, 21 დეპუტატი პარლამენტში 11 სენატორი. ჩეხოსლოვაკიის ს. დ. შესძინა რესპუბლიკას ეს ძალა და ორივე ერთათ დღეს არიან უდიდესი ძალა ახალგაზდა დემოკრატიის ყოველნაირი თავდასხმის წინააღმდეგ მარჯვნიდან თუ მარცხნიდან.

გერმანელი სოც. დემ პარტია იწვევს ყოველ ორ წელში კონგრესს, სწორეთ ასეთი მორიგი კონგრესი შედგა გასული წლის 29 ოქტომ. რაღაში და დათავდა 1 ნოემბერს. დღის წესრიგში მთავარ საკითხათ იდგა მიმდინარე მომენტი. ამასან დაკავშირებით ყრილობაზე განსახილველათ იყო დასმული საკითხი მთავრობაში დარჩენა თუ გამოსვლა. გენერალური მომხსენებელი იყო ამხ. ჩეხი. ოთხი საათის განმავლობაში ილაპარაკა მან, გაუკეთა ანალიზი როგორც საერთაშორისო მდგომარეობას, ისე შინაურს, ეკონომიურ და პოლიტიკურ არევას საერთოთ, ციფრებით, მაგალითებით, შედარებებით ნათელყო, რომ იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში მუშათა კლასზე თავდასხმა თავდება ბევრი მონაპოვარის წართმევით, აქ ჩეხოსლოვაკიაში, არა თუ ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მას რამე წაართვეს, არამეთ აქვს სრულიათ ახალი და თვალსაჩინო მონაპოვარი—სოციალ კანონმდებლობაში განსაკუთრებით.—ეს არის ნაყოფი ჩვენი მთავრობაში ყოფნის ჩეხ ამხანაგებთან ერთათ, არავითარი ახალი პირობები არ დამდგარა, რომელმაც ჩვენ შეგვაცვლევინოს სამი წლის უკან მიღებული დადგენილება მთავრობაში შესვლის შესახებ. ჩვენ გამოვალთ მთავრობიდან თუ ეს საჭირო იქნება ჩეხ ამხანაგებთან ერთათ, ვერავითარი ძალა ამიერიდან ჩვენ ერთმანეთს ვერ დაგვაშორებს... მომხსენებელს გაუმართეს ოვაცია. კამათი სწარმოებდა არაჩვეულებრივი სიდინჯით და დაკვირვებით. ისინიც კი ვინც მთავრობიდან გამოსვლის მომხრენი იყვნენ აღნიშნავდნენ სოც. დემოკრ. მინისტრების თავდადებულ მუშაობას და არც ერთი სიტყვა საყვედურის იქ არ მოსმენილა მეთაურთა მიმართ. რეზოლიუციას ეყარა კენჭი ორი დღის კამათის შემდეგ. 442 დელეგატიდან 415 ხმა მისცა მთავრობაში დარჩენას, 27—გამოსვლას.

ყრილობას დაესწრო აგრეთვე მოპატიჟებულნი სხვადასხვა მოძმე პარტიებიდან სტუმრები დაახლოებით 20 ამხანაგი. ღიიდან გახსნისა დათავებამდის მას ესწრებოდენ ჩეხოსლოვაკიის სოც. დემ. პარტიის უუგავლენიანესი მეთაურები ნიშნათ დიდი ყურადღებისა ყრილობისადმი. ჩვენ პარტიას ყრილობაზე წარმოადგენდენ ამხ. არ. ემუხვარი და ემ. ლომთათიძე, რომლებსაც ყრილობა სხვა სტუმრებთან ერთათ ტაშით მიესალმა. თავმჯდომარემ კი დაუმატა: «ჩვენ პარტაიტაგს პირველათ ესწრებიან საქართველოს სოც. დემ. პარტიის წარმომადგენელნი, ამიტომ მე მათ განსაკუთრებით მივესალმები მთელი ყრილობის სახელით და ვეუბნები—კეთილი იყოს, ამხანაგებო, თქვენი სტუმრობა».

საქ. სოც. დემ. პარტიის სახელით მიმართა ყრილობას ამხ. ე. ლომთათიძემ, მან მოიხსენია ჩვენი პარტიის და ერის ისტორია უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში და ასწერა ის ჯოჯოხეთური პირობები, რომელშიც უხდება ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის საქართველოს სოციალდემოკრატიას. ყრილობა მხურვალე ტაშით მიეგება ჩვენი პარტიის წარმომადგენლის სიტყვას. რომელიც მოთავსებული იქნა ვრცლათ «სოციალდემოკრატ'ში», გერმანელ ს. დ ის ცენტ. ორგანოში..

ელ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა და პოლიტიკა

კოალიციის საკითხი საფრანგეთში.

თებერვლის პირველ რიცხვებში პარიზში შეიკრიბა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური საბჭო. საბჭომ დაადგინა მოწვეულ იქნას 3-7 ივნისისათვის ქალაქ ავინიონში პარტიის ჩვეულებრივი კონგრესი და მის დღის წესრიგში დაისვას აგრეთვე ყველა ის პრინციპიალური საკითხები, რომელიც წამოყენებულია გასარჩევათ საერთაშორისო კონფერენციაზე. ეს საკითხებია: 1) მუშათა კლასის ერთი ფრონტი, 2) ბრძოლა ომის წინააღმდეგ და 3) ძალაუფლებისათვის ბრძოლის მეთოდები.

მაგრამ ნაციონალურ საბჭოს კრების მთავარი დანიშნულება იყო თავისი აზრი გამოეტანა საპარლამენტო ფრაქციის ტაქტიკის შესახებ დალადიეს კაბინეტის შედგენის დროს, ესე იგი, არსებითად გაერჩია რადიკალ-სოციალისტებთან სოციალისტების კოალიციის საკითხი.

ეს საკითხი წამოიჭრა ერიოს და პოლ ბონკურის მთავრობების შედგენის დროს, მაგრამ ორივეჯერ ფრაქციამ ერთხ-ულოვანათ განაცხადა, რომ ამ მთავრობებთან რაიმე საერთო პროგრამაზე შეთანხმება შეუძლებელი იყო. შემდეგ, როცა მთავრობის შედგენა მიენდო მემარცხენე რადიკალ-სოციალისტს—დალადიეს, სოციალისტური ფრაქცია ამ უკანასკნელთან დამოკიდებულების საკითხში ორ ნაწილათ დაიყო. უმცირესობა (17 წევრი), რომელსაც მეთაურობდა ფრაქციის თავმჯდომარე—ლეონ ბლიუმი, ამტკიცებდა, რომ დალადიეს პროგრამა არ იყო საკმარისი კოალიციისათვის და არ იძლეოდა საბუთს ჰიუიგენის კონგრესის პლატფორმიდან უკან დასახევათ. რენოდელი და მისი მომხრეები, რომელნიც ფრაქციის დიდ უმრავლესობას წარმოადგენდენ, მიუთითებდენ, რომ სახეში მიღებული ყოფილიყო გართულებული მდგომარეობა საგარეო ფრონტზე, აგრეთვე ის, რომ თვით საფრანგეთში მხადდება მემარჯვენე და რეაქციონურ ელემენტების დიდი ინტრიგებიო და მოითხოვდენ დალადიეს წინადადების მიღებას. და რადგანაც დალადიე თხოულობდა პასუხს დაუყონებლივ და არ თანხმდებოდა სოციალისტებთან მოლაპარაკება გადაედო ორი სამი დღით, რაც საჭირო იყო ნაციონალური საბჭოს მოსაწვევათ, რენოდელის ჯგუფი თანახმა იყო ნაც. საბჭოს მოუწვევლათ მიეცა პასუხი. დაბოლოს მთელმა ფრაქციამ, ბლიუმის ჯგუფის გამოკლებით, მიიღო მარსელ დეას წინადადება—გამართათ დაუყონებლივ მოლაპარაკება დალადიესთან ჰიუიგენსის პლატფორმის ნიადაგზე და. თუ შეთანხმება მოხდებოდა, შესულიყვნენ მის სამინისტროში, შემდეგ კი მთელი თავისი მოქმედებისათვის პასუხი ეგოთ პარტიული ყრილობის წინაშე. მოლაპარაკება მართლადაც დაუყონებლივ გაიმართა, მაგრამ რამოდენიმე საათის შემდეგ ფრაქციამ ერთხმათ განაცხადა, რომ დალადიე საკმაო გარანტიებს არ იძლეოდა და მით სოციალისტების მონაწილეობას მის მთავრობაში შეუძლებლათ ხდიდა.

პარტიის ნაციონალურ საბჭოს თებერვლის კრებას უნდა განეხილა საპარლამენტო ფრაქციის მთელი ეს მოქმედება, რაც პარტიის უმრავლესობის წარმომადგენელთ 1932 წლის პარტიული ყრილობის დადგენილების დარღვევათ და მით პარტიული დისციპლინის გვერდის ახვევათ მიაჩნდათ. მაგრამ კრებამ განიხილა არა მხოლოდ ფორმალური მხარე, არამედ კოალიციის საკითხს არსებითაც შეეხო.

დელეგაციის დიდ უმრავლესობამ გაიზიარა საპარლამენტო ფრაქციის უმცირესობის პოზიცია. 2636 ხმით 1070-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა ბლიუმის, ფორის და ლებას სახელით სევერაკის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია:

ნაციონალური საბჭო მოაგონებს საპარლამენტო ფრაქციას მის მოვალეობას იხელმძღვანელოს პარტიული ყრილობების დადგენილებებით და პარტიული წესდების პრინციპებით. ის მიუთითებს, რომ დეპუტატებს განსაკუთრებულ პირობებშიდაც არა აქვთ უფლება თავიანთი დადგენილებები თავზე მოახვიონ პარტიას, და რომ მთავრობაში მონაწილეობის საკითხის გადაჭრა მხოლოთ პარტიულ ყრილობის პრეროგატივას შეადგენს. საბჭო აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში არაერთხელ გამოირკვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებთან ერთათ მთავრობის შედგენის შეუძლებლობა: მაისის არჩევნების შემდეგ სამჯერ იყო, რომ ეს პარტიები ან უარს ამბობდენ ჩვენთან მოლაპარაკებაზე, ან და ისეთ წინადადებას იძლეოდენ, რაც ჩვენთვის ყოვლათ მიუღებელი იყოო. ჩვენს საპარლამენტო ფრაქციას, ამბობს დაბოლოს რეზოლიუცია, თავის მუშაობაში, ბუნებრივია, დროგამოშვებით მოუხდება საქმე იქონიოს სხვა პარტიებთანაც, მაგრამ პარტიის წესდების და ტულუზის ყრილობის გადაწყვეტილებების ძალით ფრაქციას უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს ორგანიულ და მუდმივ ხასიათის «დელეგაციებში», რასაც შეუძლია პარტიას ხელფეხი შეუკრას და ეწინააღმდეგება მის არსებითი ბუნებას—აწარმოვოს კლასიური ბრძოლა კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

რენოდელმა და მისმა მომხრეებმა კრებაზე განაცხადეს, რამ ამ დადგენილებებს ისინი განასაჩივრებდენ პარტიის მომავალ ყრილობაზე.

ნაციონალური საბჭოს თებერვლის კრების შემდეგ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის საპარლამენტო ფრაქციის რიგებში მოხდა ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი. ფინანსიურ მდგომარეობის გასაჯანსაღებლათ მთავრობის მიერ პალატაში შეტანილ პროექტის ერთი მუხლის გამო ფრაქცია გაიყო ორ ნაწილათ. ფრაქციის ერთმა, დიდმა, ნაწილმა ამ მუხლს ხმა მისცა, მეორემ—უმცირესობამ (20 ხმა) წინააღმდეგ. ამნაირათ დაირღვა ფრაქციის ხმის მიცემის მთლიანობა. ასეთ რამეს კი მეტათ იშვიათად აქვს ადგილი საპარლამენტო ფრაქციის პრაქტიკაში. ამას შედეგათ მოყვა ის, რომ ფრაქციის ლიდერი და თავმჯდომარე ლეონ ბლიუმი, რომლის პოლიტიკას ამ ბოლო ხანებში აღარ იზიარებს ფრაქციის უმრავლესობა, მის თავმჯდომარეობიდან გადადგა. გადადგა აგრეთვე ფრაქციის გენერალური მდივანი ვენსენ ორიოლი.

თავდაუსხმელობის პაქტი სოციალისტების და კომუნისტების შორის.

ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატიის ცენტრალური ორგანო «პრავო ლიდუ» ერთ თავის წერილში ეხება სოციალისტების და კომუნისტების შორის დამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ ამ ბოლო ხანებში საბჭოთა რუსეთმა თავდაუსხმელობის პაქტი დასდო პოლონეთთან და საფრანგეთთან და ცდილობს ასეთი პაქტებით სხვებსაც შეეკრასო. ამ პაქტების აზრი ის არის, რომ მათი ხელის მომწერნი ერთმანეთს თავს არ დაესხან. მაგრამ, რატომ საბჭოთა რუსეთი, კითხულობს «პრავო ლიდუ», არ აწარმოებს სოციალისტურ ინტერნაციონალის მიმართ იმავე პოლიტიკას, რომელსაც ის ასეთი თავგამოდებით შესთავაზებს კაპიტალისტურ სახელმწიფოთ. მესამე ინტერნაციონალი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს სოციალდემოკრატიას, საბჭოთა მთავრობა კი პაქტებს კრავს იმ სახელმწიფოებთან, რომელსაც ის რეაქციონურათ სთვლისო. ეს საკითხი იქნა დასმული ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატიის ლიდერის—ჰამპლის მიერ მუშათა მრავალ კრებებზე. ის ურჩევდა სოციალისტ მუშებს მოეთხოვათ კომუნისტ მუშებისაგან გარკვეული პასუხი საბჭოთა მთავრობის ასეთ პოლიტიკის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტების ცენტრალური ორგანო «რუდე პრავო» სოციალდემოკრატებს ამაზე უპასუხებს: «თქვენ კაპიტალისტების მომხრეები ხართ, ნუ ხართ მათ სამსახურში, აწარმოეთ კომუნისტური პოლიტიკა და მაშინ ერთი ფრონტის და თავდაუსხმელობის პაქტის საკითხიც თავისთავათ მოგვარდება»-ო. კომუნისტების ეს პასუხი მოწმობს, თუ რა ფასი აქვს მათ მოწოდებას მუშათა კლასის ერთი ფრონტისათვის.

გერმანიის სოც.-დემ. რეისხტაგის არჩევნებში.

გერმანიის რასისტ-ფაშისტებმა განსაკუთრებულ სასტიკ ზომებს მიმართეს მარქსისტების წინააღმდეგ რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნებში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბოლშევიკურ მთავრობის პრაქტიკას, ევროპას ჯერ არ უნახავს მეორე მაგალითი, რომ ხელისუფლება ასე ღიათ და ცინიკურათ მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი—ფულით, პოლიციით და შეიარაღებული სპეციალური რაზმებით ერთი პარტიის სასარგებლოთ აემუშავებინოს. ჰიტლერის მთავრობამ მთელი გერმანიის ტერიტორიაზე განუსაზღვრელ დროთი აღკრძალა სოციალისტური გაზეთი. სოციალისტებს წაერთვათ საშუალება კრებების მოწყობის, ფურცლების და ბროშურების გამოცემის. მათ წინააღმდეგ ყოველგან რასისტების ტერორი იყო გამეფებული. მიუხედავათ ფაშისტების ასეთი ზომებისა, სოციალდემოკრატია მაინც გაუმკლავდა მოწინააღმდეგეს, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნით, და შეინარჩუნა თავისი [illegible] მთელი სიძლიერე და წინანდელ ამრჩევლებთა თანაგრძნობა.

ამ არჩევნებში სოციალდემოკრატებმა მიიღეს 7.176.226 ხმა, წინანდელ არჩევნებში, გასული ნოემბერში კი 7.237.891 ხმა. ესე იგი მხოლოთ 61.665 ხმით ნაკლები. რეიხსტაგში მან დაკარგა მხოლოთ ერთი ადგილი.

რაც შეეხება კომუნისტებს, მათ ამ უკანასკნელ არჩევნებში მიიღეს 4.746.034 ხმა, ნოემბერში კი 5.974.209 ხმა, დაკარგეს ერთ მილიონ ორასი ათასზე მეტი ხმა და ოცი დეპუტატის ადგილი. ესე იგი სამ თვეში მათ დაკარგეს ის, რაც სამი წლის განმავლობაში მოიგეს.

კომუნისტები გერმანიაში ორგანიზაციულათ ვერ არიან ისე მტკიცეთ დარაზმული, როგორც სოციალდემოკრატები და მათ ამრჩევლებსაც გაცილებით ნაკლები დისციპლინა აქვთ. ამიტომ საკმარისი შეიქნა ჰიტლერის მთავრობის რეპრესიები, რომ ამრჩევლების ერთ მოზდილ ნაწილს კომუნისტური პარტია მიეტოვებინა.

მ ც ი რ ე   შ ე ნ ი შ ვ ნ ა

«გუშაგი»-ს უკანასკნელ ნომერში ვინმე კალამი ჯერ მწუხარებით აღნიშნავს, რომ მე, მსოფლიოს ამ კულტურულ ცენტრში ვერაფერი ვერ ვისწავლე და დავრჩი ისეთივე როგორსაც ის მიცნობდა თურმე ძალიან დიდი ხანია.

შემდეგ მიკითხავს ლექციას ეთიკის და ზრდილობის შესახებ და ბოლოს ჭორიკანობს. მეკითხება: —რა დამსახურებისათვის გაჩუქა ლენინმა საათი და ძაბრიანი ქუდიო.

როგორც ვიცით, ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ბოლშევიკებთან ერთად ვიმყოფებოდით საერთო პარტიაში. საერთო მუშაობის დროს ხშირად ვხდებოდი, როგორც ლენინს, ისე სხვა მის თანამოაზრეებს კონგრესებზე, კონფერენციებზე, საერთო სახელმძღვანელო ორგანოებში და სხ. კერძოთ ლენინთან რამდენიმე თვე მიცხოვრია პარიზში 1910 წელს, პირველი ემიგრაციის დროს. ასე რომ არაფერი გასაკვირი არ იქნებოდა მას რომ ჩემთვის რამე ეჩუქებია. მაგრამ ვაცხადებ კათეგორიულად რომ მას ჩემთვის არც საათი, არც ქუდი, არც ფეხსაცმელი და არც ტანთსაცმელი, ერთი სიტყვით, არაფერი არას დროს არ უჩუქებია.

ასეთი ჭორების გაზეთის ფურცლებზე გამოტანა უტყუარი საბუთია იმ მორალის და ზნეობის, რომელიც გამეფებულია «გუშაგი»-ს რედაქციაში და ასეთი მორალის პატრონნი რომ სხვას ეთიკაზე ესაუბრებოდეს, ჭეშმარიტად რომ სასაცილოა.

გრ. ურატაძე.

„ვეფხის ტყაოსანი“ რუსულად

დიდი ხანია რაც ცნობილ რუს პოეტს, ბალმონტს, მზათ ჰქონდა «ვეფხის ტყაოსანი»-ს რუსული თარგმანი, მაგრამ ის მიუწდომელი იყო საზოგადოებისათვის, რადგან მის შესაფერად გამოცემას, მრავალ ხარჯთან დაკავშირებულს, ვერვინ კისრულობდა. ჩვენი ძველი ამხანაგი, ასოთ ამწყობი დათიკო ხელაძე, არ შეუშინდა ამ საქმის სიძნელეს და ბალმონტთან შეთანხმებით შეუდგა გამოცემას. შედეგი მოწმობს რა სიყვარულით, რამდენი შრომის და ენერგიის დახარჯვით შეუსრულებია მას ეს, ჩვენს პირობებში, მეტად ძნელი საქმე. გამოცემა საუცხოოა, იშვიათი არა თუ ქართული, არამედ ევროპიული პირობებისათვისაც კი. მშვენიერი ქაღალდი, ლამაზად შესრულებული სურათები (ზიჩის), მშვენივრად შერჩეული მთავრული ასოებისა და თვითეულ გვერდის ჩარჩოს მოსაკაზმავი ორნამენტები, ყველა გადმოღებული ძველი ქართული ჩუქურთმებიდან. წიგნს უძღვის წინ ორი წინასიტყვაობა ბალმონტისა, რომელშიც მთარგმნელი ქებათაქებას ასხამს შოთას და მას დანტეს, პეტრარკას და მიქელ-ანჯელოს გვერდით აყენებს; აგრეთვე «ვეფხის ტყაოსნის» სიუჟეტის ფრანგულ და ინგლისურ ენაზე გადმოცემა.

ქართველი საზოგადოება ვალდებულია მიუძღვნას დათიკო ხელაძეს მადლობა და ამავე დროს გაუწიოს მას დახმარება. ეს დახმარება იქნება მისი მშვენიერი გამოცემის შეძენა ყველას მიერ, ვისაც ამის შეძლება აქვს. გამოცემის ხარისხთან და მასზე გაწეულ ხარჯებთან შედარებით წიგნის ფასი ზომიერია: 150 ფრანკი.

მეგობარი.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ.

რედაქციამ მიიღო მრავალი მილოცვის ბარათი საქართველოში სოციალდემოკრატიული მოძრაობის ჩასახვის ორმოცი წლის თავის გამო, როგორც ორგანიზაციებიდან, აგრეთვე ცალკე ამხანაგებისაგან. უადგილობის გამო ცნობა ამ ბარათების შესახებ მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

დაისტამბა და იყიდება.

ღრმოცი წლის თავზე.

საქართველოს ს.-დემ. მუშ. პარტიის

მოკლე ისტორია

ფასი 4 ფრანკი.

გამოცემა საქართვ. ს.-დემ. მ. პ. საზღვ.-გარ. ბიუროსი.

დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

M-r P. Sardjveladze

2, rue de Varenne. Paris (7)